ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 სექტემბერი 2002 №168 (1690) | ფასი 50 თეთრი




## ჟორდანია მინიმუმ მილიონს გამოდის

გუშინდელ „სარბიელშიც" წაიკითხავდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების პრემირებას ცალკეული მატჩების კი არა, საერთო შედეგის მიხედვით აპირებს.

ახლა კი უკვე საბოლოოდ გადაწყდა ეს საკითხი. სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შვეიცარიაში დავუკავშირდით და სწორედ მისგან შევიტყვეთ ამ გადაწყვეტილების შესახებ.

— ვაპირებდით, საბოლოო შედეგის მიხედვით გაგვეცა პრემია, მაგრამ ფეხბურთელებმა გვთხოვეს, რომ უფრო მეტი სტიმულისთვის პირველ ორ თამაშზეც დავაწესოთ პრემიები. გადაწყდა: შვეიცარიასთან და 12 ოქტომბერს რუსეთთან მატჩები პრემირების საკითხის მხრივ გავაერთიანეთ — თუ ნაკრები ოთხ ან ექვს ქულას დააგროვებს ამ ორ თამაშში, მხოლოდ მაშინ მიიღებს პრემიას. თანხაც დავადგინეთ, მაგრამ მას მხოლოდ შვეიცარიიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ გამოვაცხადებთ.

**— გასაგებია, მაგრამ თუ ნაკრები საბოლოო შედეგს მიაღწევს — ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს — ასეთ შემთხვევაში რა პრემიალური თანხა გაიცემა?**

— ასეთ შემთხვევაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მინიმუმ ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს გამოყოფს. მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს მინიმალური თანხაა და გუნდის წარმატების შემთხვევაში ალბათ გაიზრდება.

**დავით თავართქილაძე**

# შვებულება სამოთხეში დამთავრდა

## დღეს ბაზელი იწყება

გარშემო იდილიაა: დაბა რუიტში ჩასულ ჩვენს ბერლინელ კორესპონდენტს თვალწარმტაცი ბუნება, მშვენიერი ამინდი და დიდებული საწვრთნელი ბაზა დახვდა.

შიგნითაც იდილიაა: ფეხბურთელები ვარჯიშობენ, მწვრთნელები სქემებს ამუშავებენ, ყველანი ერთად შვეიცარიელთა ბოლო მატჩებს არჩევენ და შიგადაშიგ თურქებთან ნაჭამ სირცხვილს იხსენებენ – ცხადია, იმისთვის, რომ მეორედ აღარ ჭამონ.

თურქულს და ბევრ სხვა სირცხვილსაც ჩვენც მალიმალ ვიხსენებთ, ამიტომ გულით გვწადია, გუნდის ხელმძღვანელთა ნათქვამი ვირწმუნოთ, ტრაპიზონული მატჩი ოდენ ფეხბურთელთა შესამოწმებლად გამოვიყენეთ და მარცხს დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთო. კეთილი, თუ ასეა საჭირო, არ მივანიჭებთ, მაგრამ იმ შემოწმებით მწვრთნელებმა საიმედო რა დაინახეს?

მავანი იტყვის, უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ გუნდის გამხნევება და შექება სჭირდება და არა ეჭვის თვალით ყურებაო. ჩვენც მანდ ვართ: შექების ნიშნად მზადების ობიექტურად მართლაც იდილიური სურათი დავხატეთ; გასამხნევებლად თურქეთის დავიწყებას ვცდილობთ; ხოლო ეჭვის თვალით ნაკრებს კი არა, საკუთარ პესიმიზმს ვუყურებთ.

დღეს ქართული ლაშქარი რუიტიდან ბაზელში გადაბარგდება. ზეგ კი ვინ დათვლის, მერამდენე იმედის დღეა.

იხილეთ მეორე გვერდი

# ამერიკული კალათბურთის 11 სექტემბერი

## არგენტინამ ცასმიბჯენილი ამერიკული მითი დაამსხვრია

მთლად 11 სექტემბრის ტრაგედიის მსგავსი არა და რაღაც საშინელი კი დაატყდა თავს ამერიკას. ამერიკა გაოგნებულია, განადგურებულია, ამერიკა დამფრთხალია, ამერიკა მოწყვლადია. გაქრა ილუზია, დაიმსხვრა მითი ამერიკის უძლეველობაზე. ამერიკის უკვდავების ამბავი ახლა ზღაპრადღა იარსებებს, რადგან ამერიკა უკვდავი აღარაა, დღეს ამერიკა დამარცხებულია.

თითქოს ვიღაც უჩინარმა დაგეგმაო, 11 სექტემბრიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ ამერიკა კვლავ შეარყიეს გარე ძალებმა. იქნებ დაგვამახსოვრდეს ეს თარიღი — 4 სექტემბერს ამერიკის კალათბურთელთა ნაკრებმა 80:87 წააგო არგენტინასთან. ამერიკას ადრე ბევრჯერ წაუგია სხვებთან, მაგრამ ეს არ აღიქმებოდა ასე მტკივნეულად, რადგან მაშინ საკალათბურთო ამერიკის ნარჩენები, ან ცხვირმოუხოცავი ღლაპები აგებდნენ. შოკი ნბა-ს ვარსკვლავთა წაგებამ გამოიწვია.

ეს არ იყო შემთხვევითი მარცხი, ამერიკელებმა იცოდნენ, ვის ხვდებოდნენ, არ შეიძლება, არ სცოდნოდათ. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში აგებდნენ და გრძნობდნენ საფრთხეს, მუშაობდნენ მის ასაცილებლად, მაგრამ... უბრალოდ, მათ წააგეს თამაში, თან ყველა კომპონენტში და ამას თავადაც აღიარებენ.

და კიდევ ერთი სიმბოლური პარალელი — ნბა-მ მხოლოდ 10 წელი გაძლო. 1992 წელს საერთაშორისო სარბიელზე პირველად გამოსული ნბა-ელი ჯადოქრები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი მემკვიდრეები მხოლოდ ათ წელიწადს შეუნახავდნენ ღირსებას კალათბურთის სამშობლოს. ჯორდანის, ბერდისა და ჯონსონის მომყოლებმა მალე დაუშვეს ამაყი ალამი. 1992 წლის შემდეგ ნბა-ელებმა 58 თამაში მოუგეს ყველას, ვინც გზაზე გადაეღობა. ახლა დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშზე უკვე ერთი გამარჯვებაა. ეს ერთიანი ჩანერა არგენტინამ, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატების 52 წლიან და 13-ტურნირიან ისტორიაში ერთი გახვრეტილი ბრინჯაოც არ უგდია ყულაბაში. საკალათბურთო ტრადიციების მიხედვით მდაბიო არგენტინამ ამერიკაშივე დაამარცხა კალათბურთის მშობელი.

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები



ამერიკაც ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილა: არგენტინამ დააგდო

REUTERS

# ბერლინელებო, ჩამოდით!

## ალექსანდრე ჩივაძემ დასახმარებლად ქართული სათვისტომო გამოიძახა

განო ოქროპირიძე

რუიტიდან



**მწვანეში ჩაფლული** რუიტი, მშვენიერი სპორტული ბაზა, სავარჯიშო მინდვრები, კვება, ასევე მშვენიერი ამინდი, ერთი სიტყვით, ბრწყინვალე მოსამზადებელი პირობები. საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ჩინებული შეკრება მოუწყო. ალექსანდრე ჩივაძე და ვახტანგ კოპალეიშვილი ასეთ პირობებში ამზადებდნენ შეგირდებს ერთი კვირის განმავლობაში. სწორედ ამ დროს ამბობენ, ჰა, ბურთი, ჰა, მოედანიო. ზეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ბურთსაც მისცემენ და მოედანსაც (ახალგაზრდებს ეს პატივი ხვალ ერგებათ), ჰოდა, ახლა გამოჩნდება, სჭირდებათ კი ჩვენს გუნდებს ასეთი პირობები, მსგავსი შეკრებები და საერთოდ ბურთი და მოედანი. ზეგამდე ფაქტი ერთია, ეროვნულ გუნდში საბრძოლო განწყობაა. თუმცა...

თუმცა, ძნელია, კაცს დაგავიწყდეს 21 აგვისტო. იმ დღეს ბერლინში (და არა მარტო ბერლინში) მცხოვრებ ჩემს ქართველ მეგობრებს თურქების თვალებში შეხედვის შერცხვათ. ამ დღეს ეროვნული გუნდი ტრაპიზონში 0:3 გაგვინადგურდა. ბერლინში კი საქმე ასე იყო: ორი ქართველი სტუდენტი თურქულ ბარს მიადგა და მეპატრონეს სთხოვა, ეგებ თქვენი სატელიტური ანტენით მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი გვაჩვენოთო. თურქმა ხელები გაასავსავა, არ ვიცი, რომელ არხზეაო. საქართველოს ნაკრების თამაშის ხილვას დანატრებულმა ქართველებმა ინტერნეტით შეიტყვეს ტელეკომპანიის სახელი და ისევ იმ ბარს მიადგნენ. მეპატრონემაც, რახან ასე გინდათ, კარგიო და...

90 წუთში ორი ქართველი შერცხვენილი და დამცირებული გამოვიდა ბარიდან. ოფიციანტები ირონიული ღიმილით გვიყურებდნენო, მითხრეს თბილისიდან ბერლინში დაბრუნებულს და ისიც დაავალეს, ბაზელში რაღა გვესაქმება, ამ ნაკრებს როგორ უნდა ვუქომაგოთო. მაგრამ ტყუილად როდია ნათქვამი, იმედი ბოლოს კვდებაო და ოთხშაბათს ბერლინიდან რუიტში გასამგზავრებლად აბარგებულს ალექსანდრე ჩივაძესთან კითხვა დამაბარეს, შვეიცარიელებთან რას აპირებენ, მაინც ხომ არ ჩავიდეთ და ვუქომაგოთო.

ბერლინიდან გამოტანებული კითხვა ეროვნული ნაკრების თავკაცს გუშინ საღამოს რუიტში გადავეცი.

— თურქეთთან წაგებულ მატჩს ღრმა ანალიზი გავუკეთეთ. ყველა ფეხბურთელს მკაცრად ვესაუბრე. თვითონ ბიჭებსაც კონსტრუქციული საუბარი ჰქონდათ ერთმანეთთან, კარგა ხანს ილაპარაკეს. ამიტომაც გადაეცით ბიჭებს, რომ ჩამოვიდნენ და გვიქომაგონ ბაზელში! — ასეთი იყო ჩივაძის პასუხი ბერლინელთა კითხვაზე.

თურქეთთან მარცხის მიუხედავად ასევე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ჩივაძის თანაშემწეები — ოთარ გაბელია და მურთაზ ხურცილავა. მათი თქმით, ტრაპიზონული მატჩი ნაკრების უფროსობამ ფეხბურთელთა შესამოწმებლად გამოიყენა და ამიტომ იმ მარცხს ასეთი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

მწვრთნელთა დარად იმედიანად არიან ფეხბურთელებიც. მათ იმედის საფუძველს ასეთი შეკრების მოწყობა აძლევთ.

მართალია, ნაკრები მართლაც კარგად და ნაყოფიერად მოემზადა (ესეც ჩივაძის სიტყვებია), მაგრამ მწვრთნელებს ერთი პრობლემა მაინც შეექმნათ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ გუნდს ვერ დაეხმარება ალექსანდრე იაშვილი. მან ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ მწვრთნელები გართულებებს მოერიდნენ და მისი დასვენება არჩიეს. სამაგიეროდ, გუნდს ოთხშაბათს შეუერთდა ზაზა ჯანაშია, რომელიც დანიურ „კოპენჰაგენთან" კარგი თამაშის გამო გამოიძახეს ნაკრებში. ასევე ფორმაში ჩადგნენ ალექსანდრე რეხვიაშვილი, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, გიორგი ქინქლაძე და მიხეილ ყაველაშვილი. ამ ორს სათამაშო პრაქტიკა კი აკლია, მაგრამ ჩივაძის თქმით, ორივენი სერიოზულად ეკიდებიან საქმეს და მწვრთნელს მათი გამოცდილებისაც ეიმედება.

ნაკრები რუიტში ორჯერად ვარჯიშზე იყო. დღეიდან კი თეორიას უფრო მეტ დროს დაუთმობენ. მწვრთნელ-ფეხბურთელები კიდევ ერთხელ გაარჩევენ შვეიცარიის ნაკრების ბოლო მატჩებს შვედეთთან (1:1), კანადასთან (1:3) და ავსტრიასთან (3:2). ეს ალბათ რუიტში მოხდება, საღამოს კი ეროვნული ნაკრები რუიტიდან აიბარგება და ბაზელში დაიდებს ბინას.

ახალგაზრდული ნაკრები კი შვეიცარიის გზას გუშინ შუადღისას დაადგა. წასვლამდე ცოტა უხასიათოდ ჩანდა ვახტანგ კოპალეიშვილი, რომელიც ლადო ახალაიასა და ალეკო ამისულაშვილის ტრავმებმა შეაფიქრიანა. ორივეს კუნთი გაეჭიმა და ამის გამო მათი მინდორზე გასვლა სათუოა. სამაგიეროდ, გუნდს გააძლიერებს ოთარ ხიზანეიშვილი, რომელიც ეროვნულში იყო მიწვეული, მაგრამ ჩივაძე და კოპალეიშვილი შეთანხმდნენ, რომ ხიზანეიშვილი დღეს საღამოს ახალგაზრდებს შეუერთდება და ხვალ ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშებს. სხვა მხრივ კი კოპალეიშვილიც ძალიან კმაყოფილია შეკრებით, ერთი პრობლემაც არ გვქონიაო. ისე, ძნელი სათქმელია, რა პრობლემა შეიძლება შეექმნას გუნდს, რუიტში, აქ მართლაც რომ ყველაფერი მშვენიერია.

ბოლოს კი ერთ გასახარ ამბავსაც გეტყვით. როგორც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ მითხრა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი საქართველოშიც გადაიცემა და თამაშის ხილვის საშუალება მსურველებს კვირას, თბილისის დროით 19 საათზე პირველი არხით ექნებათ.



ალექსანდრე ჩივაძეს ისევ ძველი გვარდიის იმედი აქვს



მალხაზ ასათიანს გაჩაფრებას უპირებენ

# ზაოდელი ბიჭი აიბროქსზე

## ასათიანი არველაძის რეინჯერსში მიდის

**ქუთაისის „ტორპედოსა"** და ახალგაზრდული ნაკრების შემტევი, საქართველოს წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი რომ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და სატრანსფეროდ საინტერესო მოთამაშეა, ქვეყანამ იცის.

ასათიანის თბილისის „დინამოში" გადასვლა არ მოხერხდა და „ტორპედო" ამას იმას აბრალებს, რომ „დინამო" სერიოზულად არ დაელაპარაკა ქუთაისურ კლუბს. თუმც ისიც ფაქტია, რომ თავად ასათიანს მართლა სურდა დინამოელობა.

იყო პრაღის „სპარტას" ვარიანტიც, მაგრამ არც ამისგან გამოვიდა რამე.

ჰოდა, დადგა „გლაზგო რეინჯერსის" ჯერი. ბობოლა შოტლანდიური კლუბის წარმომადგენლები ხვალ სპეციალურად ჩავლენ შვეიცარიაში და ამ ქვეყნის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს დაესწრებიან. გლაზგოელი ემისრების მიზანი ერთია — ერთხელაც დააკვირდნენ მალხაზ ასათიანს.

მაგრამ საქმე უფრო წინ არის წასული. „რეინჯერსის" ინიციატივით და ძალისხმევით ასათიანს ბრიტანეთში შესვლის ვიზა უკვე ხელში უჭირავს და მიუხედავად იმისა, თუ როგორ ითამაშებს ის ხვალ შვეიცარიელი ახალგაზრდების წინააღმდეგ, მაინც ჩავა „აიბროქსზე" და „რეინჯერსის" მენეჯერ ალექს მაკლიშს დაენახვება.

ასე რომ, ასათიანი აუცილებლად მივა შოთა არველაძეს „რეინჯერსში" და ეს შუა სექტემბერში მოხდება. ცხადია, სერიოზული მოლაპარაკებები აიბროქსელებსა და „ტორპედოს" შორის ასათიანის გლაზგოში ჩასვლის შემდეგ უნდა შედგეს. თუმცა, ვინ იცის — „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტი დიმა რამიშვილი უკვე შვეიცარიაშია და ალბათ, „რეინჯერსის" წარმომადგენლებსაც შეხვდება.

ასათიანი, რომელიც ქუთაისის უბან „ზაოდში" გაიზარდა, დღეს-ხვალ „აიბროქსზე" შედგამს ფეხს...

**დავით თამართძილაძე**

**ძვირფასო მეგობარო**

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-5 ყრილობის მიერ პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელახლა არჩევას და მომავალ წლებში ქართული ფეხბურთის თავკაცის რანგში წარმატებებს გისურვებთ.

ახლა თქვენ რთული, მაგრამ საინტერესო ამოცანის წინაშე დგახართ: ქართულ ფეხბურთს დამსახურებული საერთაშორისო აღიარების მოპოვებაში, ხოლო უნიჭიერეს ქართველ ფეხბურთელებს ზრდასა და კლასის ამაღლებაში უნდა დაეხმაროთ.

ამ საქმეში ჩემი და ფიფას დახმარების იმედი იქონიეთ. ვამაყობ, რომ საქართველოში მალე აღსრულდება „გოლის" პროექტი.

იმედი მაქვს, რომ თქვენთან შეხვედრის და თქვენს გეგმებზე საუბრის საშუალება მალე მომეცემა.

**გულწრფელად თქვენი იოზეფ ბლატერი**

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. VI ტური

ლე მანი — მეცი

**ამხანაგური მატჩი**

ლუქსემბურგი 0:5 ისრაელი

0:1 უდი (1), 0:2 ბადირი (25), 0:3 უდი (68), 0:4 კეისი (79), 0:5 ბენაიუნი (85)

# უცხოელებისგან ჭკუანასწავლმა ლოკომოტივმა უცხოელი ჩამოიყვანა

## ცაკარიასმა ნახა სასტუმრო, სტადიონი და რესტორანი. დღეს აკაკი ჩხაიძეს ან ჰოს მეტყვის, ან არას

**მთლად** ცინცხალი ამბავია — რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ „ლოკომოტივის" გასაწვრთნელად უცხოელი კაცი იწვია.

წარმოშობით ბერძენი, პერუში ნაცხოვრები და გერმანიის მოქალაქე ლუის ცაკარიასი თბილისს გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა, დილის თერთმეტ საათზე კი აკაკი ჩხაიძის კაბინეტში მოლაპარაკება დაიწყო.

საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ცაკარიასს ვაკის სტადიონი დაათვალიერებინეს და სადილად დაპატიჟეს. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა ეს ყველაფერი უცხო თვალს აარიდეს, თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, უცხოელ სტუმარს მერე შეგახვედრებთო, თავაზიანად მოგვიშორეს თავიდან ჟურნალისტები.

რა შევიტყვეთ ლუის ცაკარიასის საფეხბურთო თუ სამწვრთნელო კარიერაზე? ბევრიც ვერაფერი. „ლოკომოტივის" თავკაცთა თქმით, იგი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პერუს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ირიცხებოდა. ცაკარიასი იმ გუნდში მუშაობდა, რომელმაც არგენტინასთან 0:6 წააგოო, ამბობენ ჩვენებური კლუბის ხელმძღვანელები. მათი თქმით, ლუის ცაკარიასი ბოლო წლებში გერმანული დაბალი ლიგის გუნდებს წვრთნიდა.

ისე, რამდენიმე საათის წინ ჩამოსული უცხოელისგან ბევრიც რა უნდა შეეტყოთ ჩვენებური კლუბის მეპატრონეებს. ჩვენ კი თითქმის მთელი სამხრეთ ამერიკა და გერმანია გადავაქოთეთ ინტერნეტის დახმარებით, მაგრამ მწვრთნელ ლუის ცაკარიასს ვერსად მივაგენით.

რკინიგზელთა წვეული დღეს დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ისევ ითათბირებს და თუ შეთანხმდნენ, ალბათ, გუნდსაც შეახვედრებენ, არადა, შაბათს დილით მშვიდობას დაიბარებს სტუმარი და თავის გზას ეწევა.

ცაკარიასი თუ დაიყაბულეს, უკან, გერმანიაში, მაინც გაბრუნდება. პირად საქმეებს მოაგვარებს და თბილისში უფრო ხანგრძლივი დროით მოგვიანებით ჩამოვა.

„ლოკომოტივმა" კი გუშინ ჩვეულებრივ ორჯერ ივარჯიშა. ფეხბურთელებს ცაკარიასის სტუმრობის ამბავი ყურმოკვრით გაეგოთ. საღამოს წვრთნაზე ისეთებიც გამოერივნენ, რომელთაც უცხოელი მწვრთნელის ჩამოსვლისა არაფერი იცოდნენ.

ზოგი ამბობდა, პერუელიაო, ზოგიც ცაკარიასის ჩილელობას იჩემებდა. სამწვრთნელო შტაბსაც თითქმის არაფერი სმენოდა. ახალი ამბავი ვარჯიშის დაწყებამდე შეიტყვეს. წვრთნისას ცაკარიასი არავის გახსენებია. ორი საათის მანძილზე „ლოკომოტივის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა თავიანთი საქმე აკეთეს.

უცხოელი სპეციალისტის მოწვევა ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, მით უფრო, თუ ეს კაცი მცოდნე, თანამედროვე მწვრთნელია. ამ მხრივ რკინიგზის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება მართებულია, თუმც ერთს კი შევნიშნავდით. თუ უცხოელის მოწვევას აპირებდნენ, მაშინ ნაკოპენჰაგენევსვე გამოეცხადებინათ. ახლა რა გამოდის, რამდენიმე დღის წინ „ლოკომოტივს" მწვრთნელი დაუნიშნეს და ზაურ სვანაძეს ფაქტობრივად შანსი არ ეძლევა. არადა, მან ხომ უდიდესი ენთუზიაზმით და თავდადებით დაიწყო მუშაობა.

რკინიგზელებმა თავიანთი საქმისა უკეთ უწყიან და, ალბათ, მიღებული გადაწყვეტილების სისწორეშიც დარწმუნებულები არიან.

**მამუკა ძგანტალიანი**



„ლოკომოტივმა" ჯერ არ იცის, ვინ გაწვრთნის



მიხეილ აშვეთიას „კოპენჰაგენში" ჯდომას „ალანიაში" გოლების გატანა ურჩევნია

*რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან თუ ვინმე გამოირჩევა, ერთ-ერთი მიხეილ აშვეთიაა. ჩვენებური თავიდანვე კარგად მოერგო ვლადიკავკაზის „ალანიას" და საკმაო გოლებიც გაიტანა. სწორედ მისი და გიორგი დემეტრაძის წყალობით დააღწია თავი ვლადიკავკაზურმა კლუბმა სახიფათო ზონას, თუმც ბოლოხანს გამარჯვების გემოს ისევ გაუუცხოვდა. სამი ტურია, ჩვენებურებმაც ვერ იყოჩაღეს...*

*ამ და სხვა ამბებზე თავად მიხეილ აშვეთიას ვესაუბრეთ, რომელსაც გუშინ ვლადიკავკაზში დავუკავშირდით*

# აშვეთიას ულტიმატუმი

## მიხოს კოპენჰაგენი საჯდომად არ უნდა

**— ბოლო ტურებში „ალანიამ" ძალიან მოისუსტა...**

— ბოლოს მართლა გაგვიჭირდა. მიზეზს ნაღდად ვერ გეტყვი. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ფაქტია — რაღაც შესაცვლელია.

**— კონსულტანტი ბორის იგნატიევი რატომ წავიდა გუნდიდან?**

— ეტყობა, რაღაც უთანხმოება მოუვიდა ხელმძღვანელობასთან. ყოველ შემთხვევაში, ის გუნდიდან არავის გაუშვია, ეს თავად გადაწყვიტა. „ალანიას" წარუმატებელ სერიაზე, ალბათ, ამანაც იმოქმედა.

**— გია იმედაძის ტრანსფერზე დაყენებაში იგნატიევის წვლილი არცთუ ცოტა იყო. ახლა იმედაძეს რაიმე შანსი ხომ არ გაუჩნდა?**

— არ ვიცი. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. იმედია, გია ამ პრობლემას მოაგვარებს.

**— უეფას თასზე „ლოკომოტივ" — „კოპენჰაგენის" მატჩის შემდეგ თბილისში დანიელებს უნდა შეხვედროდი შენი მომავლის გასარკვევად...**

— ეს შეხვედრა არ შედგა. ამ დროს „ალანია" მომავალი მატჩისთვის ემზადებოდა და თბილისში ჩამოსვლა ვერ მოვახერხე, თუმც გავიგე, „კოპენჰაგენს" ჩემი დაბრუნება სურს.

**— თავად თუ გსურს დანიაში დაბრუნება?**

— არ ვიცი, შეიძლება დავბრუნდე. „ალანიაში" დეკემბრამდე ვარ განათხოვრებული და „კოპენჰაგენს", ალბათ, ზამთარში შევუერთდები. ოღონდ ჯერ იმის პირობა უნდა მომცენ, რომ მათამაშებენ. სხვაგვარად იქ დაბრუნებას აზრი არა აქვს. მე თამაში მინდა და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

**— ცოტა ხნის წინ ვლადიკავკაზში ალექსანდრე ჩივაძე ჩამოვიდა და შენ და დემეტრაძეს ნაკრებში გამოძახებას შეგპირდათ. თუმც ეროვნულ გუნდში შენი სახელი და გვარი დღემდე არ ჩანს...**

— მოვა დრო და, ალბათ, მეც დამიძახებენ. გული კი მწყდება, მაგრამ ნაწილობრივ ამაში ტრავმებმაც შემიშალა ხელი.

**— ახლაც ტრავმა გაწუხებს?**

— მოსკოვის „სპარტაკთან" დაშავებული ფეხი ჯერაც ვერ მოვირჩინე და ბოლო ორ ტურში ტკივილგამაყუჩებლებით ვითამაშე. შესაძლოა, მომდევნო მატჩი საერთოდ გამოვტოვო. ამის ბრალიცაა, ბოლოხანს გოლი რომ არ გამიტანია.

**— თან „ურალანთან" დემეტრაძესაც არ უთამაშია...**

— ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. გიორგის ოთხი ყვითელი ბარათი ჰქონდა და ამის გამო დაგვაკლდა. მასთან ერთად თამაში ძალიან მიადვილდება.

**— ჰოდა, მაშინ მომავალ ტურში დემეტრაძეც დისკვალიფიკაციამოხდილი იქნება და, ალბათ, გოლების გატანასაც განაახლებ...**

— აუცილებლად. ოღონდ ეს ტრავმა მოვირჩინო და მერე გოლებსაც ეშველება. აქ ჩვენი იმედი აქვთ და ამას გამართლება უნდა.

**ქახა ზალამბერიძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# რუსებმა ახალი ვარსკვლავი შეიმატეს: ლიუბოვ კაზარნოვსკაია

## „საიუზ ნერუშიმის" დაგუგუნებასაც აპირებენ

### რუსეთი

**გვარიანი** აჟიოტაჟია მოსკოვში რუსეთ — ირლანდიის მატჩის წინ. გულშემატკივრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაფლავებული ნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან. ვალერი გაზაევიც და მისი გუნდიც პორტუგალიისკენ სავალ გზაზე უმთავრესი კონკურენტის დაჩოქებას ეშურებიან.

ინტერესი რომ დიდია, გაყიდული ბილეთების ოდენობითაც კარგად ჩანს. მატჩამდე ორი დღით ადრე ყველა, 22 ათასი ბილეთი გასაღებულია და უბილეთოდ დარჩენილ ქომაგებსაც „შავ ბაზარზე" იღბლიანი ვაჭრობის იმედიღა შერჩათ.

ერთი ეგაა, გუშინ რუსეთ — ირლანდიის შეხვედრას საფრთხე დაემუქრა. საქმე ისაა, რომ მოსკოვის შემოგარენში ტყეებს ხანძარი გაუჩნდა, რუსეთის დედაქალაქის გარკვეული ნაწილიც კვამლით შეიბურა, რამაც აეროპორტ „შერემეტიევოს" მუშაობა შეაფერხა. აეროპორტის ხელმძღვანელობამ რამდენიმე საათით თვითმფრინავების მიღებაზე უარი განაცხადა და რეისებიც გადადო. გუშინ საღამოს კი მოსკოვში ირლანდიის ნაკრები უნდა ჩაფრენილიყო...

— დიდი შანსია, მატჩი გადაიდოს, თუმც იმედი მაქვს, ეს არ მოხდება. კარგი იქნება, თუკი ბუნება დაგვინდობს — განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა.

ირლანდიასთან მატჩის წინ რუსები ერთ საქმესაც აპირებენ. პირველად რუსული ფეხბურთის ისტორიაში, მატჩამდე ქვეყნის ჰიმნი ცოცხლად შესრულდება. ეტყობა, საფეხბურთო კავშირი ამით ფეხბურთელების პატრიოტული გრძნობების გაღვივებასა და გულშემატკივართა „შეხურებას" აპირებს.

კარგ იდეას რა სჯობს, მაგრამ მას ასეთივე შემსრულებელი უნდა. რუსებმა ამაზეც იფიქრეს და 7 სექტემბერს მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჰიმნს მსოფლიო დონის სოპრანო — ლა-სკალას, კოვენტ-გარდენის, მეტროპოლიტენისა და ვენის ოპერის წამყვანი მომღერალი — ლიუბოვ კაზარნოვსკაია იმღერებს.

— ჩვენი ეროვნული გუნდის მატჩის წინ ასეთი ვარსკვლავის მიერ შესრულებული ჰიმნი ფეხბურთელებზე უთუოდ დადებითად იმოქმედებს. გულშემატკივრებიც იგრძნობენ, რომ ასეთი დიადი ქვეყნის მოქალაქეები არიან. დარწმუნებული ვარ, თუ კაზარნოვსკაიას მთელი სტადიონი აჰყვება, თუნდაც ძველი სიტყვებით, ამით ფეხბურთელებს უზომოდ დიდ მუხტს გადასცემს. ეს კი ირლანდიელთა დამარცხებაში დაგვეხმარება — განაცხადა რუსეთის ნაკრების მარკეტინგის დირექტორმა ალექსანდრ ჩერნოვმა.

„ძველი სიტყვები" ხომ არ გეუცნაურათ? დიახ, ეგრეა: რუსეთის ახლანდელი ჰიმნისა და სსრკ-ს ჰიმნის მელოდია ხომ ერთი და იგივეა, სიტყვები კი სხვა... ჰოდა, „ძველი სიტყვებიც" სწორედ სსრკ-ს ჰიმნისაა...

**ქახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელარუსმა თავი დაკარგა

## პრეზიდენტმა ედუარდის კრიტიკაა აკრძალა



ედუარდ მალოფეევი

**ბელარუსის** ნაკრების მწვრთნელი, ედუარდ მალოფეევი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩამდე ოთხი დღით ადრე ცუდად გახდა და საავადმყოფოში დააწვინეს.

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი ფედოტოვი ყვება: „ის თავს დილიდან ცუდად გრძნობდა, ხოლო საღამოს მდგომარეობა გაუარესდა და ექიმებმა მისი საავადმყოფოში დაწვენა მოგვთხოვეს."

იმ დღეს 60 წლის მალოფეევი ფედერაციასთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ასრულებდა და მწვრთნელის თანამდებობაზე დარჩენას აპირებდა — მოგეხსენებათ ადრე მან პოსტის დატოვება გადაწყვიტა.

ფიოდოროვს სწამს, საგანგაშო არაფერია და მწვრთნელი ნაიმეგენში, ჰოლანდიელების წინააღმდეგ მოთამაშე გუნდს შეუერთდებაო — ნაკრები მინსკიდან დღეს უნდა გაფრინდეს.

მალოფეევთან დაკავშირებით ხმა აღიმაღლა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ, რომელიც ნაკრებს საწვრთნელ ცენტრში ეწვია და ჟურნალისტებს სთხოვა, მწვრთნელს მაინც და მაინც ნუ გააკრიტიკებთო.

„ედუარდ მალოფეევი მგრძნობიარე ადამიანია და სჯობს, ნუ შევაწუხებთ. ამით მხოლოდ მოვიგებთ" — უთქვამს პრეზიდენტს.

მალოფეევმა ნაკრებიდან წასვლა შარშან ოქტომბერში გადაწყვიტა, როდესაც ბელარუსის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან ვერ გავიდა. შემდეგ იგი დარჩენაზე დაიყოლიეს და გუნდი მოსკოვში, სლავების — რუსების, უკრაინელების, იუგოსლაველების და ბელარუსების ტურნირზე გაატანეს, საიდანაც გამარჯვებული დაბრუნდა.

საინტერესოა, რომ მალოფეევს ბელარუსის ნაკრების წამყვან ფეხბურთელებთან მოუვიდა კონფლიქტი. კერძოდ, მან კიევის „დინამოში" მოთამაშე წყვილს, ალექსანდრ ხაცკევიჩსა და ვალენტინ ბელკევიჩს ბრალად, უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ განგებ ცუდად თამაში დასდო.

**ბაჩუნა ძიძია**



ზინედინ ზიდანი ყურადღებამ დაღალა

# რონალდო ჩამოვიდა? აბა, დამისვენია!

*„რეალში" რონალდოს გადასვლამ გარდა თავისთავადი ინტერესისა, სხვა ცნობისწადილიც გამოიწვია — რას ფიქრობენ ახალ თანაგუნდელზე მადრიდელი ვარსკვლავები? ამ კითხვაზე მეტ-ნაკლები პასუხის მისაღებად, „უეფა მეგეზინმა" ზინედინ ზიდანს მიაკითხა*

**— ბოლო დროს ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი გადადის სერია A-დან ესპანეთის პრიმერადივიზიონში. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— არ ვიცი. მე იტალიიდან ესპანეთში პროფესიული მიზნების გამო გადმოვედი. ასე ვთქვათ, წავედი იქ, სადაც ყოველთვის მინდოდა წავსულიყავი. იტალიაში გატარებული სამი წლის შემდეგ ქვეყნის და საფეხბურთო გარემოს გამოცვლა მსურდა. რაც შეეხებათ რონალდოსა და სხვებს, თავიანთ მოტივებზე თავად უკეთ მოგახსენებენ. ისე კი, რონალდოს „რეალში" მოსვლა ჩემთვის კარგია — ჟურნალისტებიც მასზე გადაიტანენ ყურადღებას და მეტოქეებსაც ახალ პრობლემაზე მოუწევთ ფიქრი.

**— ნუთუ ის გარემოება, რომ „რეალში" ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა, სხვა გამორჩეულ ფეხბურთელებსაც იზიდავს?**

— შეიძლება მართლაც ასე იყოს. მადრიდში ბევრი გამორჩეული ფეხბურთელი თამაშობს და დანარჩენებსაც უჩნდებათ აქ გადმოსვლის სურვილი. მე, მაგალითად, მიხარია, რონალდოს თანაგუნდელი რომ ვიქნები.

**— ფიზიკურად თუ ხართ მზად მომქანცველი სეზონისთვის ?**

— მეტ-ნაკლებად მივაღწიე იმ ფორმას, სეზონის დასაწყისში რომ არის საჭირო. პრინციპში ასეთ ფორმაში ყოფნა ჩვეულებრივი ამბავია. ასე თუ ისე, წელიწადის ამ დროს, ყოველთვის განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო.

**— გრძნობთ, რომ საფრანგეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი (ჟაკ სანტინი) ჰყავს?**

— ტუნისთან გვქონდა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ცუდად ჩავატარეთ, თუმცა, ზოგადად, ახალ მწვრთნელთან და ახალ თანაგუნდელებთან, ყველაფერი კარგად ამეწყო.

**— ახლახან სუპერთასიც მოიგეთ. ყველა ევროპულ ჯილდოს რომ მოიხვეჭთ, მერე რას აპირებთ?**

— ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონობა მწადია. ისე კი, ესპანეთის პირველობის გარდა კიდევ სამი ჯილდოსთვის მოგვიწევს ბრძოლა და თითოეულის მოპოვება განსაკუთრებულად ძნელი იქნება.

**— ამდენ შეჯიბრებაში თანაბრად გამოსვლა არ გაგიჭირდებათ?**

— დიდი გუნდი გვყავს, თუმცა ამდენი შეჯიბრება ნებისმიერი კლუბისთვის ძნელი იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ფაქტობრივად სეზონის 60-70 პროცენტი მთელი ძალით უნდა ჩავატაროთ.

**— თქვენ უკვე ერთი წელიწადია „რეალში" თამაშობთ. როგორ ფიქრობთ, ახლა უფრო გაგიიოლდებათ საქმე?**

— ცხადია. უკვე ვიცი, რა ცხოვრებით ცხოვრობს მადრიდი და როგორ თამაშობენ ჩემი თანაგუნდელები. მეორე მხრივ კი, ფაქტია, ამ სეზონში უფრო ძლიერ კონკურენციას გადავეყრებით, თუმცა, მთავარია, რომ მადრიდში თავს კარგად ვგრძნობ და მწამს, „რეალის" ფეხბურთელების ხელშეწყობით, გულშემატკივარი შარშანდელზე უკეთეს ზიდანს იხილავს.

# გაგვიზარდეთ და შეგვიმცირეთ!

**ევროპული** საკლუბო ფეხბურთის წამყვანმა მწვრთნელებმა ხმა აიმაღლეს — ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში შეცვლების რაოდენობა გაგვიზარდეთ, მოედნები ერთმანეთს დაატოლეთ და დაამსგავსეთო და სხვა.

ეს მწვრთნელები ერთმანეთს შვეიცარიის ქალაქ ნიონში შეხვდნენ, სწორედ იქ, სადაც უეფას ოფისია. უკვე მეოთხე წელიწადია, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მათ იბარებს და პრობლემებზე საუბრის საშუალებას აძლევს. ამ შეხვედრებს სილამაზისა და, თბილისურად რომ ვთქვათ, მარიაჟისთვის „ელიტარულ მწვრთნელთა ფორუმი" დაარქვეს, ხოლო სათავეში უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი ჩაუყენეს.




ოტმარ ჰიცფელდი, გერჰარდ აიგნერი, ენდი როქსბურგი და ლუის ვან გაალი

და აი, ბატონი როქსბურგის თქმით, ელიტარული მწვრთნელების მიერ განხილული ბევრი საკითხიდან ყველაზე თვალშისაცემი, ლიგის მატჩებში სათადარიგოთა სკამის 20 კაცამდე გაზრდისა და ოთხი ცვლილების სურვილი იყო. გარდა ამისა, წამოჭრილა ეგრეთ წოდებული მატჩისწინა მოთელვის, დოპინგის, კალენდრის, ინსპექტორების და სხვა საკითხები. ამასთან, მწვრთნელებს ერთხმად აღუნიშნავთ, რომ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რაც ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის იდეაფიქსი გახლავთ, გვარიანი უაზრობაა. კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატთან ერთად ელიტარულ სპეციალისტებს კიდევ ერთი უაზრო ტურნირი, კონფედერაციათა თასიც შემოლაწნძლეიათ და აგვისტოსა და აპრილში ნაკრების ამხანაგური შეხვედრების გახსენებაზეც აუზუებიათ ცხვირი.

ბატონი როქსბურგი გვეუბნება, რომ ნიონში შეკრებილ მწვრთნელებს „ფეარ პლეის" პრინციპების უფრო დაკონკრეტება და ყველასთვის თანაბრად მოთხოვნაც ძალიან ნდომებიათ. მათი აზრით, ფეხბურთელებმა ნაკლები უნდა ითამაშონ და მეტად უნდა იყვნენ ავი ცხოვრებისგან დაცულნი.

„ფეხბურთი სულ უფრო და უფრო სწრაფი თამაში ხდება და ამიტომ დროა, მეოთხე ცვლილების შემოტანაზე ვიფიქროთ — თქვა „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — ერთი მხრივ, ეს მწვრთნელებს ტაქტიკური ვარიანტების გამრავალფეროვნებაში შეგვიწყობს ხელს და მეორე მხრივ, ფეხბურთელებიც არ დაიქანცებიან. ამასთან, ფეხბურთელებს იმდენ შეჯიბრებაში უწევთ მონაწილეობა, რომ ზედაც კონფედერაციათა თასის დამატება, მეტისმეტია. შეუძლებელია, ამ შეჯიბრისთვის ვინმე მართლა კარგად მოემზადოს."

„ბარსელონას" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა კი უეფა იმიტომ შეაქო, რომ ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შემდეგი სეზონიდან (სამწუხაროდ ამ სეზონიდან არა) ჩემპიონთა ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპი აღარ იქნება.

„ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა მიუხედავად იმისა, რომ პირველი ეტაპიდან გასულ გუნდებს შემოსავალი მოაკლდებათ, მეორე ეტაპის გაუქმება ბევრნაირი გაგებით აღადგენს წონასწორობას. ბოლოს და ბოლოს დროის ამბავია, დღეები განთავისუფლდება, ფეხბურთელების ჯანმრთელობა გაუმჯობესდება და სხვა ბევრ სიკეთეს მოგვატანს" — თქვა მან.

ამ ნათქვამს ზემოხსენებული ჰიცფელდიც დიდი ენთუზიაზმით დაეთანხმა: „დიახ, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხი ფეხბურთელები არიან. თამაშის დონეს მათი ჯანმრთელობა განაპირობებს."

მწვრთნელთა შეხვედრას ესწრებოდა უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერიც, რომელმაც ასევე მოიწონა საკუთარი ორგანიზაციის გადაწყვეტილება:

„ვინაიდან ჩვენ ორ შეჯიბრებას, ეროვნულ პირველობებსა და ჩემპიონთა ლიგას პარალელურად ვატარებთ, იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ მათ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ."

**ბაჩუნა ძიძია**

# მისაღები მივიღოთ

## ტოტალიზატორმა სიბინძურე იყნოსა

**უკრაინის** ჩემპიონატში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, სხვათაგან არაფრით გამორჩეული მატჩი გაიმართა. ლვოვში, ადგილობრივ „კარპატსა" და ლუცკის „ვოლინს" შორის, რომელიც, ყველასგან გასაკვირად, სტუმრებმა 2:0 მოიგეს.

დსთ-ს ტერიტორიაზე ყველაზე ბობოლა ტოტალიზატორმა „მარათონმა" განგაში ატეხა, ამ ამბავს გარიგების სუნი უდისო. ბუქმეიკერთა წარმომადგენლის განცხადებით, შეხვედრის წინა დღეს მათ კანტორებს ზღვა ხალხი მიაწყდა, „ვოლინის" გამარჯვებაზე ფსონის დადების სურვილით. ბობოლა ტოტალიზატორს ლიფსიტებმაც აუბეს მხარი და ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, ფულის გამცემები არ ვართო.

ხალხი კი გაიძახის, მისაღები მივიღოთო.

„ვოლინის" პრეზიდენტი ყველას გასაგონად აცხადებს, არავითარი გარიგება არ ყოფილა, შეხვედრამ ნამდვილი სპორტული სულისკვეთებით ჩაიარაო.

**ზურაბ რუხაძშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სპარტაკის სპარტაკი



დმიტრი სიჩევი

**მოსკოვის** „სპარტაკი“ და დმიტრი სიჩევი გაიყარნენ. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დავის გადაჭრისას შრომის კანონთა კოდექსით და საკუთარი რეგლამენტით იხელმძღვანელა. ოთხსაათიანი გარჩევის შემდეგ დადგინდა, რომ კოდექსით სიჩევს კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება აქვს, მაგრამ კომიტეტის რეგლამენტით კონტრაქტის გასაწყვეტად მკვეთრი მიზეზები და მყარი არგუმენტებია საჭირო. თუ მიზეზ-არგუმენტებმაც არ გაჭრა, ფეხბურთელი კი თავისას არ იშლის, მაშინ ოთხთვიან დისკვალიფიკაციას გამოუწერენ (განსაკუთრებულ შემთხვევაში ექვსთვიანს).

სწორედ ასე მოხდა სიჩევის შემთხვევაში. მას ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია აკრეს. მისი მომავალი კლუბი ვალდებულია, „სპარტაკს“ კომპენსაცია გადაუხადოს. საკომპენსაციო თანხა იმის მიხედვით განისაზღვრება, სად გააგრძელებს კარიერას სიჩევი, რუსეთში თუ უცხოეთში. მაგრამ სიჩევის საქმე არც ისე ცუდადაა, დისკვალიფიკაციით კმაყოფილიც კი არის — ოთხი თვე და...

ხუთიოდ დღის წინ რუსული პრემიერლიგის კლუბებმა, „სპარტაკის“ ინიციატივით მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმში ნათქვამია, რომ დანარჩენი თხუთმეტი კლუბი „სპარტაკს“ სოლიდარობას უცხადებს და დმიტრი სიჩევს თავისთან არ აიყვანს და არც ვარჯიშის საშუალებას მისცემს. ახლა, როცა ფეხბურთელი უკვე თავისუფალი კაცია, გამორიცხული არაა, სოლიდარობა დაირღვეს.

სიჩევი მართლაც ნიჭიერია და მისი უსაქმოდ ხეტიალი არ იქნება. მით უმეტეს, რომ ექსპერტების გამოთვლით, საკომპენსაციო თანხა რუსეთის სხვა კლუბში გადასვლის შემთხვევაში დაახლოებით 800 ათას ევროს უკაკუნებს. ეს მაშინ, როცა სიჩევის რეალური ფასი 5-დან 10 მილიონ ევრომდე მერყეობს. სხვაობა თვალში საცემია და მუქთად ასეთი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად სოლიდარობა შეიძლება სულ ფეხებზე დაიკიდონ.

მოკლედ, მოსკოვის „სპარტაკმა“ გვარიანი თანხა დაკარგა. ორ-სამ ათას დოლარ ხელფასს გამოეკიდა და მილიონები კი დაუსხლტა. „სპარტაკის“ ბოსები გაზაფხულზე შრომის კანონთა კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ იმსხვერპლა. იანვარში, როცა სიჩევმა პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხელფასი 4 ათასი რუსული რუბლი დაუნიშნეს. მერე შეცვლილმა კანონმა კლუბში კონტრაქტების გადახედვა მოითხოვა. ყველა ფეხბურთელს 5 ათასი დოლარით გაუზარდეს ხელფასი, რათა გუნდიდან წასვლაზე აღარ ეფიქრათ. სიჩევმა თავის ახალ კონტრაქტს ჩახედა და არ მოეწონა, რადგან სხვებთან შედარებით თავი დაჩაგრულად იგრძნო. ამიტომაც სტკიცა უარი ხელის მოწერაზე.

დღეს დმიტრი სიჩევი თავისუფალი, დისკვალიფიცირებული აგენტია. მას ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის უფლება აქვს, ერთი თვის შემდეგ კი ოფიციალურად მოყვარულებშიც შეუძლია ბურთაობა. სხვათა შორის, ერთი მსურველი უკვე გამოუჩნდა.

სადისციპლინო კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელის მამა, ევგენი სიჩევი კმაყოფილი იყო: „კარგი იქნებოდა, უფრო დაწვრილებით შეესწავლათ ეს საქმე, თუმცა საბოლოო ვერდიქტის სამართლიანობაში ეჭვი არ მეპარება. ვალდებული ვართ, იგი შევასრულოთ. „სპარტაკის“ პრეზიდენტი ჩემთან მორიგებას ცდილობდა, შხადყოფნაც გამოთქვა, კომპრომისზე წასულიყო, თუკი დიმა ისევ გუნდში დარჩებოდა. ჩვენ, ცხადია, უარვყავით, რადგან ამ კლუბთან ცუდი მოგონებების მეტი აღარაფერი გვაკავშირებს. ახლა მთავარია, ბიჭი ფორმიდან არ ამოვარდეს და ვარჯიში გააგრძელოს, რაც გადავიტანეთ, უნდა დავივიწყოთ.

თავად დმიტრი სიჩევი მშვიდად გამოიყურება: „ყველაზე მეტად ის მწყინს, რომ ნაკრებს ვერ დავეხმარები, მაგრამ ცხოვრება ამით არ მთავრდება. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც დამეხმარა, ვისაც ჩემი სჯერა და შევეცდები, ნდობა ბოლომდე გავამართლო. ჯერ ვივარჯიშებ, მერე რა იქნება, ვნახოთ.“

**მაშა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინელი** თავდამხმელი სერგეი რებროვი მზად არის, „ტოტენჰემიდან“ თავი გამოისყიდოს. მან ეს გადაწყვეტილება გუნდში რობი კინის მისვლის შემდეგ მიიღო. 28 წლის რებროვის სატრანსფერო ღირებულება ახლა 3 მილიონ გირვანქას შეადგენს, მაშინ, როდესაც „ტოტენჰემმა“ იგი კიევის „დინამოსგან“ 11 მილიონ გირვანქად შეისყიდა.

**ინგლისური** „ლივერპულის“ პოლონელი მეკარე ირჟი დუდეკი საზარდულის ტკივილმა შეაწუხა. ამის გამო იგი სან მარინოს ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამოტოვებს და როდის დაუბრუნდება მწვანე მინდორს, ჯერ არავინ იცის. ამ ამბავმა მერსისაიდელთა დამრიგებელი ჟერარ ულიე ძალიან დაამწუხრა. მორიგი ტურის მატჩში „ბირმინგემთან“ იგი გუნდის კარის დაცვას ადრე „ქოვენთრიში“ მოთამაშე კრის კირკლენდს ანდობს.

**იტალიური** „მილანის“ ცოცხალ ლეგენდა ფრანკო ბრეზის მიაჩნია, რომ ახლანდელი „მილანი“ თავისდროინდელზე ძლიერია: „ალესანდრო ნესტას შეძენით გუნდმა საბოლოოდ გაამაგრა დაცვის ხაზი. ახლანდელ „მილანს“ შანსი აქვს, ძველი დიდება დაიბრუნოს. რაც შეეხება კარლო ანჩელოტის, ჩემი აზრით, მას ძალიან გაუჭირდება უძლიერეს ფეხბურთელებს შორის არჩევანის გაკეთება.“

**ესპანურ** „რეალში“ რონალდოს გადასვლის შემდეგ გულშემატკივრებს სჯერათ, რომ მათი კლუბის დამმარცხებელი დუნიაზე არ მოიძებნება. თუმცა ბოლო წლებში სადაც „რეალს“ ახსენებენ, იქვე „ბაიერნიც“ უნდა მოიხსენიონ. გერმანული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ ბავარიული კლუბი მადრიდულს მანამდე დაამარცხებს, სანამ „სამეფო კლუბი“ ერთ ნორმალურ ცენტრალურ მცველსა და მაღალი კლასის მეკარეს არ იყიდის.

**ხორვატმა** მცველმა რობერტ იარნიმ გულდათუთქულმა განაცხადა, ფეხბურთიდან მივდივარო. „მე მოლაპარაკებას ვაწარმოებდი „რენთან“ და „ბასტიასთან“, მაგრამ რაკი მათგან ნაღდი დაინტერესება ვერ ვიგრძენი, ჩემთვის სამწუხარო გადაწყვეტილება მივიღე.“ იარნის გული უფრო იმან მოუკლა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, ესტონეთთან, არ გამოიძახეს. 33 წლის ფეხბურთელის ბოლო გუნდი კი ბერძნული „პანათინაიკოსი“ იყო სადაც აგრძნობინეს, ზედმეტი ხარო. ადრე კი მას ტურინის „იუვენტუსსა“ და მადრიდის „რეალში“ უთამაშია.

**ფრანგი** თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე შეიძლება ოპერაციას გადაურჩეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ 14 სექტემბრამდე იგი მარჯვენა მუხლში ტკივილს აღარ იგრძნობს. თუ ოპერაცია დასჭირდა, ფრანგი რამდენიმე თვე ვერ გავა მოედანზე. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგემ მუხლი ხერ კიდევ 31 ივლისს, წინასასეზონო საკონტროლო მატჩში დაიზიანა.

# ჟარდელებს იქით მოგცემთ

## არაევროკავშირელები ბარსელონას არ სჭირდება

**ახლახან** გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბრაზილიელი სუპერფორვარდი მარიო ჟარდელი „ბარსელონაში“ გადადის, ანუ წინასწარ კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა და ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გაღებასღა ელოდება, ესპანურმა გაზეთმა „მარკამ“ უარყო და ამის თაობაზე კატალონიელთა თავკაც ლუის ვან გაალს გაესაუბრა.

ჟარდელი, რომელიც ახლახან მონაკოში მესამედ დააჯილდოვეს „ოქროს ბუცით“, ვან გაალის აზრით, „ბარსელონას“ ვერ მოერგება.

„გუნდში ორი უმაღლესი დონის თავდამსხმელი გვყავს, პატრიკ კლუივერტი და ხავიერ სავიოლა. ამიტომაც სხვა თავდამსხმელი ჯერჯერობით არ გვჭირდება“ — განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

სხვათა შორის, ვან გაალი ჯოვანისა და დანის უპირებს თავდასხმის წინა ხაზზე გამწესებას და თუ ორივემ იმედები გაუმართლა, ჟარდელის შეძენა ხომ საერთოდ აღარ დასჭირდება, მით უმეტეს, როცა ბრაზილიელს არაევროკავშირელის პასპორტი აქვს და კატალონიურ კლუბს შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას. ჟარდელი კი ევროკავშირის მოქალაქე დეკემბრის ბოლოს გახდება, როცა პორტუგალიურ პასპორტს აიღებს.

კატალონიური გრანდი არგენტინის ამომავალ ვარსკვლავს, „რივერ პლეიტის“ თავდამსხმელ ანდრეს და ალესანდროსაც აკვირდება, რომელსაც უკვე ორმაგი მოქალაქეობა აქვს მიღებული.

„ბარსელონას“ ხელმძღვანელობა მოურიგდა არგენტინულ კლუბს და საჭიროების შემთხვევაში ფეხბურთელს თავისთან ათამაშებს.

**ლუკა გიგიბერია**



მარიო ჟარდელი

# ლომანამ გემო გაუგო

**ქიცის** იცის და ქიცმაცურიცო, ალან შირერის ახალ პარტნიორზე ითქმის: სეზონის პირველ ხუთ თამაშში 21 წლის კონგოელმა ლომანა ლუა ლუამ სამი გოლი შეაგდო, აკრობატივითაც იხტუნავა და „ნიუკასლის“ ფანობის ახალ კერპად იქცა.

ეს ქიცმაცური, მაგრამ აბა, ქიციც იკითხეთ! იმ დროს აწ უკვე მცველთა რისხვა დღესაც შიშით იხსენებს.

„პირველი შანსი ხელიდან გავუშვი. მაშინ „კოლჩესტერის“ ჭაბუკთა გუნდში ვთამაშობდი, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ფეხბურთში დიდ წარმატებებს ვერ მივაღწევდი და ხელი სწავლას მივყევი. ამოვირჩიე კოლეჯიც, თუმცა იმავდროულად, ცხადია, თავის რჩენაზეც უნდა მეფიქრა. სხვა სტუდენტთა დარად, მეც „მაკდონალდს“ მივაკითხე. კი ბატონოო, მითხრეს“ — ალალად ყვება ლომანა.

...ინგლისში შრომის წიგნაკი არ არსებობს, თორემ მასში ზუსტად იქნებოდა დაფიქსირებული, რომ მოქალაქე ლუა ლუამ „მაკდონალდსის“ ერთ-ერთ ბრანჩში 1 დღე იმუშავა.

„მენეჯერმა ტუალეტის გასუფთავება დამავალა. ვწმენდდი და თან ვფიქრობდი — არა, ეს შენ არ ხარ, შენ უკეთესი გეკუთვნის.“

ლომანამ სამუშაო პატიოსნად შეასრულა, მაგრამ საღამოს, ქუჩაში გასულმა, პირველივე ტელეფონის ჯიხურიდან „კოლჩესტერის“ ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელს დაურეკა და სთხოვა, ეგებ დამაბრუნოთო.

დააბრუნეს... ორ წელიწადში ხერ ბობი რობსონის დაჟინებით „ნიუკასლმა“ ლომანა ლუა ლუა 2,25 მილიონ გირვანქად იყიდა.

მიეცი ნიჭსა გზა ფართო (არა მაკდონალდსის ტუალეტისხელა)!

**გიგა კობახიძე**



ლომანა ლუა ლუა ტუალეტიდან გამოვიდა

# ბლოხინმა საუკუნე გალია
## ჩივაძე ნაკრებში თვითონ ითამაშებს


ოლეგ ბლოხინი

**ალექსანდრე ჩივაძე** საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოიძახეს, რომელსაც ნიკიტა სიმონიანი თავკაცობს.

5 ნოემბერს უკრაინული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, ოლეგ ბლოხინი ორმოცდაათისა მოიყრება. იუბილესთან დაკავშირებით ამხანაგური მატჩის გამართვა გადაწყდა. 27 სექტემბერს კიევში, „ოლიმპიისკიზე" ერთმანეთს საბჭოთა და მსოფლიოს ნაკრებები გადაეყრებიან.

ევროპის 1975 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ორივე გუნდის შემადგენლობაში თითო ტაიმს ჩაატარებს, ოღონდ უცნობია, მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელად ვის უხმობენ.

ჩივაძემ, ლეონიდ ბურიაკმა, ოლეგ სალენკომ, რინატ დასაევმა და ალექსანდრ ზავაროვმა თანხმობა განაცხადეს კიევში ჩასვლაზე.

ევროპიდან უკრაინას საბენეფისოდ უეფას აღმასკომის წევრი და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანუ უბრალოდ, მიშელ პლატინი ეწვევა.

ეს მატჩი, ცხადია, საქველმოქმედო ხასიათისაა. მთელი შემოსავალი ობოლ-უქონლებს და ინვალიდებს გადაეცემათ.

დღესდღეობით ოლეგ ბლოხინი უკრაინის პარლამენტის წევრია, ოღონდ საბერძნეთში ცხოვრობს. პირველ მეუღლესთან, მსოფლიოს ჩემპიონ ტანმოვარჯიშე ირინა დერიუგინასთან გაშორებულია და ახლა მეორე ცოლი ჰყავს, რომელთანაც ორი გოგონა შეეძინა.

**გაგა ხუციშვილი**

# დამოუკიდებლობის დღე
## უკრაინელებს მაგარი კოსმონავტები ჰყოლიათ
## სტადიონზე პოლიციას ჩვენთანაც სძინავს

**24 აგვისტო** უკრაინის დამოუკიდებლობის დღეა. იმ დღეს დასავლეთუკრაინის ქალაქ ჟიტომირში თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩი შედგა. ადგილობრივი „პოლესიე" კიევის „დინამოს" დაუხვდა.

მთელ ქვეყანაში საზეიმო განწყობა იყო, ცხადია, ჟიტომირშიც. გარდა ამისა, ფიფას კალენდრით 24 აგვისტო მსოფლიოში „ფეირ პლეის" დღედ ითვლება. მოკლედ, ყველაფერი სადღესასწაულოდ იყო მომზადებული, მაგრამ...

„დინამომ" მასპინძლებს სძლია, მსაჯმა საფინალოდ დაუსტვინა და იქ დაიწყო წივილ-კივილი. სტუმართა ფანობას სპეცდანიშნულების რაზმი „ბერკუტი" (მეტსახელად „კოსმონავტები") ხელკეტებით დაერია. „საწვრთნელი" პროცესი სპეცებმა მაქსიმალურად გამოიყენეს — ფანებს უმოწყალოდ უბარტყუნეს „დუბინკებით", თან ხელ-ფეხსაც ახმარდნენ, ნაცემებს კი ჯენტლმენურად წამოდგომაში ეხმარებოდნენ. სცემეს შეუბრალებლად. ეს ყველაფერი ვიდეოკამერითაა გადაღებული. ჟიტომირში დატრიალებული ამბები შემდეგ ტელევიზიითაც გადასცეს. მერე ეს ნაგვემი ხალხი სამ დახურულ სატვირთო ავტომობილში „შეალაგეს" და საბოლოოდ დასაშოშმინებლად ცრემლსადენი გაზიც ზედ მიაყოლეს.

მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა იური სმირნოვმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მოკვლევა. ჟიტომირის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერი იყო სამართალდამცავთა მოქმედება.

ჟიტომირის შს სამმართველოს მოხელე მიხაილ კლიმჩუკის ვერსიით, არეულობის ინიციატორები თვითონ კიეველი ფანები იყვნენ. მისივე თქმით, ასამდე გვარიანად შეზარხოშებული დედაქალაქელი მატჩზე უპატრონო ინდაურივით, უბილეთოდ ჩავიდა. ისინი სტადიონზე თავაშვებულად იქცეოდნენ, ისროდნენ ყველაფერს რაც ხელში მოხვდებოდათ. ნამატჩევს, როცა გასასვლელისკენ მიემართებოდნენ, პოლიციელებს ეუხეშებოდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომაცო, დასძენს კლიმჩუკი, „ბერკუტს" სხვა არაფერი დარჩენოდა, ძალა გამოიყენაო.

სანამ გამოძიება თავის გაზაზე მიდის, უკრაინის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ საგანგებო სხდომა გამართა.

რეგლამენტით საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მასპინძელ მხარეს ევალება.

მატჩის შემდეგ არბიტრმა ევგენი ამბროსიმოვმა თავის პატაკში აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ შეხვედრის მსვლელობისას ტრიბუნებიდან რამდენჯერმე ცეცხლწაკიდებული საგანი ისროლეს, თუმცა მათ ჩაქრობაზე არც პოლიციას უზრუნია, არც სახანძროს. მაშხალები მხოლოდ მაშინ მოაშორეს, როცა მინელდა.

ინციდენტის გამომწვევ მიზეზთა შორის დაასახელეს „პოლესიეს" ნახევრად დანგრეული სტადიონიც, რომელიც ექვს ათას კაცზეა გათვლილი, იმ დღეს კი ორჯერ მეტი მივიდა. ამ ორჯერ მეტში ყოველი მესამე არაყნაკრავი გახლდათ. ნასვამ მდგომარეობაში მყოფთა შესვლა კი პოლიციამ ვერ გააკონტროლა.

მთავარი მაინც ისაა, რომ ტრიბუნებზე არ ყოფილა პოლიციის სპეცრაზმი, რომელიც სტუმარ-მასპინძელ ფანობას შორის უნდა მდგარიყო მშვიდობის მტრედივით. გარდა ამისა, სარბენი ბილიკების მთელ პერიმეტრზე სამხრეებიანი კაცი არ მოიძებნებოდა. ყოველივე ამან ფანთა თავაშვებულობა გამოიწვია, თავისუფლება იგრძნეს და თავისებურად შეუბერეს. ბოლოს კი „დინამოს" გულშემატკივრები გასასვლელში „ბერკუტმა" მიიმწყვდია და...

საფეხბურთო ლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა ანატოლი პოპოვმა აქცენტი იმაზე გადაიტანა, რომ ქალაქურად ჩასულნი უბრალოდ, კიევის „დინამოს" ვაი-გულშემატკივრები არიან და მათ დედაქალაქურმა კლუბმა უნდა მიხედოს, ან ისინი სტადიონებზე არ უნდა შევუშვათო.

ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე სტეფან რუშკოს თქმით, დამნაშავე და პასუხისმგებელი მასპინძლები არიან, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სათანადოდ წესრიგის დაცვა. მაგალითად, მან მოიყვანა ძველი ამბავი, როცა იგი ჟიტომირში ერთ-ერთი მატჩის კომისრად იმყოფებოდა. მაშინ იგი დაინტერესებულა სწრაფი რეაგირების ჯგუფი თუ გყავთო, რაზეც უპასუხეს, ჩვენს სტადიონზე ამის საჭიროება არ არისო.

ჟიტომირის „პოლესიეს" გვარიანი ფულადი ჯარიმა გამოუწერეს და სტადიონის დისკვალიფიკაციაზეც იმსჯელეს, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ჯარიმა აკმარეს. მსგავსი ამბის განმეორების შემთხვევაში კი დისკვალიფიკაცია აღარ ასცდებათ.

**გაგა ხუციშვილი**

# რამე უნდა ვილონოთ
## ასმსხეთ ფეხბურთელს ტაქსის ფული
## სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთი კვდება

„**ფეხბურთი** კვდება. თუ რამე არ ვილონეთ, ჩვენ ხელცარიელნი დავრჩებით" — დაიჩივლა ბოლივიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა მაურისიო მენდესმა. მართალია, იგი თავისი ქვეყნის ჩემპიონატს გულისხმობდა, მაგრამ იგივე მთელ ლათინურ ამერიკაზეც თამამად შეიძლება ითქვას. ვითარება კი ასეთია: უფულობა და ქაოსი.

კრიზისი სამხრეთელთათვის ახალი ხილი არაა, მით უფრო, როცა თვით მდიდარსა და უშფოთველ ევროპასაც აღარ ულხინს, თუმცა ბოლო ხანებში ლათინური ამერიკის უკლებლივ ყველა ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობა თანაბარი ტემპით ინგრევა.

მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია ფეხბურთელების გაყიდვით არის დაკავებული. ჯერჯერობით მხოლოდ 7 მსოფლიოს ჩემპიონი რჩება სამშობლოში, ისინიც იმიტომ, რომ ფინანსური კრიზისი ევროპულ კლუბებსაც შეეხო და მრავალმილიონიანი ტრანსფერებიც ისე ხშირ-ხშირად ველარ ხერხდება, როგორც უწინ.

| 18 | სუინდონ თაუნი (13) | | | | | 0:1 | 0:1 | | 3:1 | | | | | | | | 21.09 | | | : | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| 19 | პორტ ვეილი (14) | | | | | | 0:1 | 1:4 | | 14.09 | | 28.09 | | | | | | 17.09 | | | | | | 1:0 | | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 20 | ჰადერსფილდი (6) | 0:2 | | | 1:1 | | | | : | | | | 0:0 | | | | | | | | | 21.09 | | | | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 21 | ლუთონ თაუნი (დ) | | | | | | | | 2:3 | | | | | 3:0 | | | | 14.09 | 28.09 | | | | 17.09 | 2:3 | | 6 | 1 | 1 | 4 | 10:13 | 4 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| 22 | მენსფილდ თაუნი (დ) | | 4:3 | | 0:5 | | | | | | | | | 0:2 | : | | | | | | | | | | 21.09 | 6 | 1 | 1 | 4 | 9:18 | 4 | 1 | 0 | 2 | 4:10 | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |
| 23 | პიტერბორო იუნაიტედი (17) | 28.09 | 17.09 | | 14.09 | | | | | 0:1 | | | | | | 0:1 | | | | | 0:1 | | | | | 6 | 1 | 0 | 5 | 3:8 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 24 | ჩელტენემი (დ) | | 1:2 | 0:2 | | 1:1 | | | | | | 14.09 | | | | | | 28.09 | 17.09 | | | | | | | 6 | 0 | 1 | 5 | 2:8 | 1 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48

## სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**WE ARE THE WORLDS!**
მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

**F ჯგუფი** არგენტინა • გერმანია • რუსეთი • აშშ • ახალი ზელანდია • ჩინეთი

# არგენტინა 87:80 აშშ

# ამერიკული კალათბურთის 11 სექტემბერი

## არგენტინამ ცასმიბჯენილი ამერიკული მითი დაამსხვრია


REUTERS
ამ ბიჭებმა ეს-ესაა, კალათბურთში ახალ ერას დაუდეს სათავე


ამერიკელთა მთავარი დამაქცევარი ემანუელ ჯინობილი

**მაშ ასე,** ნბა პირველად დამარცხდა, ზღაპარი დასრულდა. მხეცი დაჭრეს და ახლა იწყება ბრძოლა არსებობისთვის თუ არა, პირველობისთვის მაინც.

ამერიკა ალბათ მოიშუშებს ჭრილობას, მაგრამ ნაიარევი მაინც დარჩება. მათ მოიძიეს მარცხის მიზეზი და არაერთი იპოვეს: ამერიკას არ ჰყავდა დღეისთვის, სულ ცოტა, ათი-თორმეტი საუკეთესო კალათბურთელი — შაკილ ონილი, ტიმ დანკანი, ალენ აივერსონი, ჯეისონ კიდი, კობი ბრაიანტი... ამერიკელები მოატყუა თავდაჯერებამ; ისინი სათანადოდ არ მოემზადნენ ტურნირისთვის; კალათბურთელებს არ ჰქონდათ სტიმული — ფულადი ანაზღაურება; ეს თამაში მნიშვნელოვანს არაფერს წყვეტდა და ბიჭებმა გასეირნება გადაწყვიტეს (გზაში ავდარმა კი მოუსწრო); გამარჯვებამოყირჭებულებმა წაგების არომატიც დააგემოვნეს...

ამერიკელები თუ მოინდომებენ და ღრმად მოქექავენ, მარცხის არაერთ მიზეზს იპოვიან და საბოლოოდ იქნებ დაასკვნან, რომ შემთხვევით წააგეს, მაგრამ ამით მხოლოდ თავს მოიტყუებენ. სალი თვალი ხედავს, რომ ამერიკასა და დანარჩენებს უფსკრული აღარ ყოფთ, ევროპა და სხვები ხშირად ამერიკელებზე ცუდად არ ბურთაობენ. არგენტინელთა სათადარიგო ფორვარდმა ანდრეს ნოჩიონიმ თავზე გადაატენა ბურთი ნბა-ს საუკეთესო დამცველ ბენ ვოლესს. თუნდაც მანუ ჯინობილი ავილოთ: ამერიკელთა ერთ-ერთმა ამკლებმა სწრაფი გარღვევებით ისე დაჭრა ნბა-ელთა დაცვა, მათმა თავკაცებმა — ჯორჯ კარლმა და გრეგ პოპოვიჩმა ტაქტიკური ნახაზებით, ყვირილითა და მღელვარე ტაიმაუტებითაც ვერ შეაკონწეს. სხვა მხრივ კი გაუმართლა გრეგ პოპოვიჩს, მან თავისი „სან ანტონიოსთვის“ დაითრია ჯინობილი, რომელსაც ნბა-ში ნათელი კარიერა ელის.

მშვენივრად იცოდნენ კარლმა და პოპოვიჩმა, რომ არგენტინელები კალათბურთში ტყემალზე არ სხედან, რომ სანჩესსა და ვოლკოვიცკის ნბა აქვთ დაჭაშნიკებული, ობერტო, სკონოჩინი, სკოლა და სხვები ევროვარსკვლავები და ამდენად სახიფათონი არიან, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყვეს.

არგენტინა კარგი გუნდია და მას გამარჯვება სურდა. არგენტინელებს არ წაუგიათ ამერიკელებთან თამაში თამაშის დაწყებამდე. ისინი მოედანზე სათამაშოდ და არა მცირე სხვაობით წასაგებად გამოვიდნენ და ითამაშეს. დღეს მოიგეს, ხვალ შეიძლება წააგონ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ბიჭებს მუხლები არ უცახცახებთ ერთბაშად ათეული ზორბა ზანგის დანახვაზე.

დამარცხებულებს ყოფნით ვაჟკაცობა და თავადაც აღიარებენ, რომ თამაშის ყველა კომპონენტში დაიჩაგრნენ. მათ 34:21 დათმეს საწყისი მეოთხედი და პირველ ტაიმში ერთი ხანობა 20 ქულითაც ჩამორჩნენ მეტოქეს (უდიდესი ჩამორჩენა ნბა-ელთათვის). ისინი თითქოს აულელვებლად შეუდგნენ თავიანთ საქმეს, მაგრამ როცა შეატყვეს, ერთი-ორი ჩატენვის შემდეგ მეტოქე არ პანიკიორობს და ბურთს არ გვჩუქნისო, თავად დაპანიკდნენ. არ ვაჭარბებთ, ცალ-ცალკე ისინი ყველანი ვარსკვლავები არიან (30 სანტიმეტრით მაღალი ნახტომი აქვთ, ვიდრე დეიან ბოდიროგას). ჰოდა, ცალ-ცალკე სცადეს საქმის გამოსწორება — დრიბლინგით, ბურთის თრევით, ფარქვეშ ოსტატური ბრუნებით და კაუჭებით და სულ ტყუილად. ანდრე მილერს ნბა-ს თამაშებში საშუალოდ თითქმის 11 პასი უგროვდება, ბაირონ დევისს რვაზე მეტი, ახლა კი ამ ორი გამთამაშებლის ხელში ამერიკელებმა ორი გააზრებული კომბინაცია ვერ გამართეს. მაიკლ ფინლის, პოლ პირსის და იგივ ანდრე მილერის ინდივიდუალური ოსტატობა კი ჩინეთის დასამარცხებლად იქნებ საკმარისი იყოს, დალაგებულ და მართლა გუნდ არგენტინასთან კი ვერ გაჭრა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ამერიკელთა მთავარ კონკურენტად მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრები ითვლებოდა. აი, მას უნდა მოუგოს ამერიკამ, ამბობდნენ. მალე მოუწევთ ნბა-ელ შავ მარგალიტებს თავიანთი ძალების ერთხელაც გადამოწმება — არგენტინასთან მარცხმა აშშ-ს ეროვნულ გუნდს ჯგუფში მეორე ადგილი და მეოთხედფინალში მეტოქედ იუგოსლავიის ნაკრები არგუნა.

**ირაკლი ფირაშვილი**

---

**გერმანია 103:85 რუსეთი**
**გერმანია:** ნოვიცკი (17), ნიკაგბატსე (17), ოკულაია (15)
**რუსეთი:** ზ. პაშუტინი (28), ჩიკალკინი (22)

**ახალი ზელანდია 94:88 ჩინეთი**
**ახალი ზელანდია:** ჯონსი (33), პენი (19), კემერონი (12)
**ჩინეთი:** ლი (33), იაო (27)

# რუსებს და ჩინელებს ახალი ზელანდია მოელანდებათ

სასწაული არ მოხდა, რუსეთის უკბილო და დავრდომილმა ნაკრებმა ვერ აჯობა გერმანელებს და წინა ორი ჩემპიონატის ფინალისტმა სამარცხვინოდ დაასრულა ინდიანაპოლისური ოდისეა. უფრო სწორედ, კი არ დაასრულა, მეოთხედფინალს და მედლისთვის ბრძოლას დაემშვიდობა და ახლა დამამცირებელ პლეი ოფში ჩაებმება, რომელმაც ჩემპიონატის მეცხრე-მეთორმეტე გუნდები უნდა გამოავლინოს. მეტს არც იმსახურებს გუნდი, რომელმაც დებიუტანტ ახალ ზელანდიასთან წააგო და ჩოფურა, უხვად რეკლამირებული ჩინეთის გარდა ვერავის მოახვია თავისი ძალა.

ახალზელანდიელები ერთხელაც შევაქოთ. ისინი კვლავ გადაახტნენ თავიანთ თავს და ჩინეთთან 20-ქულიანი ჩამორჩენა შეავსეს. მათ მთელი ჯიგარი ჩააქსოვეს თამაშში და დამსახურებულად გავიდნენ მეოთხედფინალში. იქ მათი მეტოქეები მათზე პატარა და გავერანებული კუნძულის — პუერტო რიკოს გოროზი და ეშმაკი კალათბურთელები იქნებიან და მათი ძლევა, ალბათ, არ გამოუვათ, თუმც რაგბის არქიპელაგის უცარ კალათბურთელებს ამას ვინლა მოსთხოვს.

რუსეთის მძლეველი გერმანია მეოთხედფინალში სტაბილურად ძლიერ ესპანეთს შეეტოქება, რომელთანაც წაგებული აქვს შარშანდელ ევროპის ჩემპიონატში ბრინჯაოს პრიზიორის გამრკვევი მატჩი. ორივე ეს გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისაა და ერთნაირ კალათბურთსაც თამაშობს. ესპანეთს სათამაშო ტაქტიკა 213-სანტიმეტრიანი ნბა-ელ მზეჭაბუკ პაუ გასოლზე აუწყვია, ოთხი მობილური მობურთალი მის გარშემო ბრუნავს. ასეთივე წყობით ცდილობს ფონის მონახვას გერმანია. გუნდის ნახევარია „დალასის“ სუპერვარსკვლავი დირკ ნოვიცკი. თუმც კი სხვა გერმანელებსაც არა უშავთ და იმის მტკიცებაში, რომ ნოვიცკის გარეშეც შეუძლიათ თამაში, ჯაბანი რუსეთი შემოემარცხათ.

რუსებთან შეხვედრაში ნოვიცკი მოედანზე იყო, თუმც ტურნირის პირველ ბომბარდირს თამაში არ წაუვიდა, პირველი მეოთხედის შუაში მეორე პერსონალური მიიღო და სკამზე გადაჯდა. მას საერთოდ არ უთამაშია ბოლო მეოთხედში და იმ შეხვედრაში 17 ქულით შემოიფარგლა, თუმც რუსებს სხვებიც ეყვნენ.

გერმანელებმა უკვე პირველივე წუთებში მიუჩინეს მეტოქეს ადგილი. საწყისი მონაკვეთი 20:3 მოიგეს და დიდ შესვენებამდე 22-ქულიანი უპირატესობის გამოჭედვა მოასწრეს. რუსებმა მესამე მეოთხედში გაიფაფხურეს, მაგრამ სულ ამაოდ — ნიკაგბატსემ, ოკულაიამ, არიგბაბუმ, გარისმა, პეშიჩმა და სხვა „გერმანელებმა“ იოლად გაუკრეს ხელ-ფეხი.

„კარგად დავიწყეთ, განსაკუთრებით შეტევაში წაგვივიდა თამაში და ბოლომდე შევინარჩუნეთ რიტმი. მატჩის მეორე ნახევარში, როდესაც მეტოქე შეგვებრძოლა, ნამდვილი გერმანული, გუნდური სულისკვეთება გამოვავლინეთ“ — თქვა ნამატჩევს გერმანელთა თავკაცმა ჰენრიკ დეტმანმა.

ბატონმა დეტმანმა ერთგვარი კომპლიმენტი გაუკეთა შეგირდთა ჭრელ ნაკრებს, რომელსაც იმ დღეს არ დასჭირვებია განსაკუთრებული შემართების გამოვლენა. სულისკვეთება და მარცხთა შეურიგებლობა გერმანელებზე მეტად ახალზელანდიელებმა გამოამჟღავნეს. მილიარდნახევრიანი ჩინეთის რჩეულმა მობურთალეებმა თავიდანვე მოუნდომეს ორიოდ მილიონიან ზელანდიელებს დაჩაგვრა, დასაწყისში თითქოს რაღაც გამოუვიდათ, მაგრამ ბოლოს სირცხვილიდა ერგოთ.


REUTERS
დებიუტანტი ახალი ზელანდია მეოთხედფინალში გასვლას ხარობს

**ქოტე ყოფშია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 5 | 5 | 0 | +76 | 10 |
| აშშ | 5 | 4 | 1 | +101 | 9 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | +24 | 8 |
| ახ. ზელანდია | 5 | 2 | 3 | -80 | 7 |
| რუსეთი | 5 | 1 | 4 | -43 | 6 |
| ჩინეთი | 5 | 0 | 5 | -88 | 5 |

WE ARE THE WORLDS!
მსოფლიოს ჩემპიონატი, ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

E ჯგუფი თურქეთი • ესპანეთი • პუერტო რიკო
ანგოლა • ბრაზილია • იუგოსლავია

# იუგოსლავია, თავში და ქათამი
## ამერიკა მაინც კატა და დასაკლავი დანაა

**ესპანეთი 84:67 ბრაზილია**
**ესპანეთი:** გასოლი (23), გარბახოსა (12), ნავარო (11)
**ბრაზილია:** მაჩადო (25), ჟოვანონი (9)

**იუგოსლავია 110:78 თურქეთი**
**იუგოსლავია:** სტოიაკოვიჩი (16), გუროვიჩი (16), ბოდიროგა (12)
**თურქეთი:** ოქური (21), თურქოღლუ (20)

**პუერტო რიკო 89:87 ანგოლა**
(ძირითადი დრო 71:71)
**პუერტო რიკო:** ორტისი (25), აიუსო (12), დილმაუ (10)
**ანგოლა:** ალმეიდა (19), ლუტონდა (18), ვიქტორიანო (10)

თავიდან ამერიკელთა მთავარმეტოქედ იუგოსლავიას ასახელებდნენ, მაგრამ ჩემპიონატი რომ გახურდა, თავად „მთავარმეტოქენიც" დაეჭვდნენ ამაში და ცდილობდნენ, ფინალამდე ამერიკისთვის როგორმე გზა აექციათ. თავადაც იყოჩაღეს, იღბალიც დაეხმარათ (ბრაზილიამ ესპანეთთან წააგო), მაგრამ მასპინძლებს მაინც ვერ ასცდნენ — იუგოსლავიელებმა ის ვეღარ გათვალეს, რომ არგენტინა ამერიკას სძლევდა, რაც მრავალთაგან შერაცხულ „ფინალისტებს" მეოთხედფინალში შეახვედრებდა.

ბრაზილიას ესპანეთისთვის რომ მოეგო, იუგოსლავია მეოთხე ადგილზე გავიდოდა, მაგრამ წააგო და სლავებს სანუკვარ მესამეობამდე (რაც, მათი აზრით, ამერიკას აცილებდა) თურქეთის დამარცხებაღა დარჩენოდათ. ეს მათ თურქული ევროჩემპიონატის ფინალში უკვე მოეხერხებინათ და ნეიტრალურ მოედანზე რაღას იზამდნენ. არც გასჭირვებიათ. სვეტისლავ პეშიჩის ბიჭებმა აიდინ ორსის თეთრთავა შეგირდებს შავი დღე აყარეს, თუმცა სანამ პირველი მეოთხედის შუაწელში თამაშში დეიან ბოდიროგა და მარკო იარიჩი შევიდოდნენ, თურქები იგებდნენ, მერე კი ჩამორჩნენ და საფინალო სირენამდე ანგარიში განუწყვეტლივ ევროჩემპიონთა სასარგებლოდ იზრდებოდა.

თამაშს აზრი მესამე მეოთხედის ბოლოს დაეკარგა — სლავები 25 ქულით დაწინაურებულიყვნენ და ჯგუფში მესამეობას ხარობდნენ. რა იცოდნენ, ამ გამარჯვებით მგელს თუ ჩაუვარდებოდნენ ხახაში.

ამერიკელთა მარცხის ფონზე ანგოლის პუერტო რიკოსთან მეორე ოვერტაიმში დამარცხება არაფერი სენსაციაა, მაგრამ აფროჩემპიონთა გმირობის ამბავი მაინც ხმამაღლა სათქმელია, მათ ხომ ლამის მოგებული თამაში წააგეს.

ისე, ანგოლა ფრეების გუნდია: ბრაზილიასთანაც ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში და ახლა პუერტო რიკოსთანაც მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე 13 წამით ადრე ისევ ფრე იყო, მაგრამ აფრიკელთა უთუმცაო ლიდერმა მიგელ ლუტონდამ ახლო მანძილიდან ააცილა და კარიბელთა უბერებელმა ცენტრმა ხოსე ორტისმა გაუთავებელი მატჩის დამთავრებამდე 0,9 წამით ადრე გამარჯვებისა ჩააგდო.

ანგოლა თავაწეული მიდის სამშობლოში, პუერტო რიკო — მეოთხედფინალში, სადაც დებიუტანტი ახალი ზელანდია ელის.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პუერტო რიკო | 5 | 4 | 1 | +11 | 9 |
| ესპანეთი | 5 | 4 | 1 | +67 | 9 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 2 | +99 | 8 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 2 | -27 | 8 |
| თურქეთი | 5 | 1 | 4 | -39 | 6 |
| ანგოლა | 5 | 0 | 5 | -110 | 5 |

**მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან**

**პუერტო რიკო — ახალი ზელანდია**
**ესპანეთი — გერმანია**
**იუგოსლავია — აშშ**
**ბრაზილია — არგენტინა**

*მატჩები გაიმართება 5 სექტემბერს*




REUTERS ინდიანაპოლისიდან

როლანდო ჰურიტინერის პუერტო რიკო მეოთხედფინალამდე ალზევდა

# ფაჩულია მწვრთნელს და ბედს აღარ ემდურის
## სანამ ამერიკელებს დაამარცხებდნენ, არგენტინელებმა ზაზას მოუგეს

*თურქულ „ულქერში" მოთამაშე ზაზა ფაჩულიას ამ ბოლო დროს ორჯერ მიეცა ქართველების ნახვის შანსი, მაგრამ ვერც ერთხელ შეძლო, თუმც დღეს-ხვალ ამას უთუოდ მოახერხებს... ჯერ იყო, იტალიაში შეკრებაზე მყოფი ბენეტონელ მანუჩარ მარკოიშვილს ვერ დაუკავშირდა, ამ დღეებში კი ზაზას სტამბოლში ბასკოელებთან შეხვედრის შესაძლებლობაც ჩაეშალა – ბათუმელები შეკრებაზე არიან თურქეთში და დღეს ანკარიდან სტამბოლში ჩავლენ, „ულქერი" კი დღესვე სლოვენიაში მიემგზავრება, სადაც ვლადიმერ ბოისა თამაშობს და თვისტომის ნახვის მესამე შანსს ფაჩულია ხელიდან აღარ გაუშვებს... ზაზას გუშინ სტამბოლში ვესაუბრეთ*



ზაზა ფაჩულია მალე ვლადიმერ ბოისას ამხანაგურად ეთამაშება

— რამდენიმე დღეა, იტალიიდან დავბრუნდით. კურორტ ნორმიოში ორკვირიანი შეკრება მოვაწყვეთ, იდეალური პირობები გვქონდა. იქ სპეციალური საკალათბურთო კომპლექსია და ევროპის წამყვანი კლუბები სეზონთშორის პერიოდს ნორმიოში ატარებენ.

**— საკონტროლო მატჩებს გამართავდით...**

— ხუთი მატჩი ვითამაშეთ და ყველა მოვიგეთ. მეტოქენიც ძლიერები გვყავდა. იტალიის სერია A-ს გუნდები „სიენა", „სკიპერი", „მილანი", თუმც შედარებით სუსტებსაც შევხვდით, ბელგიურ „მონსს" და ერთ იტალიის მეორედივიზიონელს.

**— „სიენას" და „სკიპერის" დამარცხება, თანაც იტალიაში, იოლი საქმე არაა. ალბათ, სერიოზულად არ მოგეკიდნენ...**

— რაც უნდა იყოს, ამ გუნდებს ისეთი შემადგენლობები ჰყავთ, მათი დამარცხება ძნელია. მატჩები საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა და მაყურებელიც ბლომად დაესწრო. ჩემი შეხედულებით, მათ მოგება ძალიანაც ეწადათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

**— „ულქერი" შარშანდელთან შედარებით თუ მოღონიერდა?**

— ეგრეა. ბევრი კალათბურთელი შეიცვალა და მათთან ერთად მწვრთნელიც. ახლების მოსვლამ გუნდის თამაშის სტილიც შეცვალა, „ულქერი" უფრო სწრაფი და მოძრავი გახდა.

**— ეს, ალბათ, უკანახაზელთა გამო...**

— ცხადია. ამ ამპლუის სკავოლინელმა მელვინ ბუკერმა გუნდს ხელი დაატყო. მას ევროლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს და თავი უკვე „ულქერშიც" გამოიჩინა. არც მეორე ახალწვეული, ისიც სკავოლინელი, ჯოზეფ ბლეირია ურიგო მოთამაშე. მართალია, ცენტრია, მაგრამ ძალიან მოქნილია და „ულქერის" წინა ხაზი უფრო სხარტი გახადა. ბლეირი ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელია და ჩემთვისაც კარგია, მისგან ბევრ რამეს ვისწავლი.

**— მასთან ერთად თამაში, ალბათ, მოგიწევდა. როგორი მეწყვილეა?**

— საკმაოდ კარგი, თუმც საბოლოოდ ამის თქმა ჯერ ადრეა.

**— რატომ, ხუთი მატჩი ცოტა არაა მოთამაშის გასაცნობად...**

— კი, მაგრამ იტალიაში მასთან ხშირად არ მიწევდა თამაში. ძლიერ გუნდებს რომ ვხვდებოდით, ცოტა ხნით ვთამაშობდი, სუსტებთან კი ის იყო ხოლმე თადარიგში.

**— „ულქერის" ახალი მწვრთნელი წინამორბედ მურათ დიდინის კვალს ხომ არ მისდევს, საკონტროლო მატჩებში საკმაო ხნით არ გათამაშა?**

— როგორ არა, თუმც, როგორც გითხარი, ძლიერ გუნდებთან შედარებით ნაკლები დროით. ეს ჩემს მონაგარსაც დაეტყო, „სკიპერთან" სამი ქულა ჩავაგდე, „სიენასთან" — ოთხი. მომდევნო მატჩებში 5 და 18-18... ღმერთმა დაიფაროს, ოლგორანი დიდინისნაირი იყოს, სხვაობა უზარმაზარია. შეცდომებს მისწორებს, როცა საჭიროა, მაქებს კიდეც.

**— როგორ გგონია, თურქეთის ჩემპიონატისა და ევროლიგის მატჩებში თუ გენდობა?**

— მაგას ახლა ვერ ვიტყვი. თუ ღირსი ვიქნები, მათამაშებს, თუ არადა — არა. დიდინი კი ასე არ აკეთებდა, თამაში რომ წამივიდოდა, სწორედ მაშინ გამყავდი მოედნიდან. მოკლედ, ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და მეც ეს მინდა.

**— გეცოდინება, მანუჩარ მარკოიშვილი ახლახან გადავიდა „ბენეტონში", იტალიაში ყოფნისას ხომ არ გინახავს?**

— არა, სადაც ჩვენ ვიყავით, იქიდან ტრევიზო საკმაოდ შორსაა. ტელეფონიც არ ვიცოდი, შეხვედრაზე რომ შევთანხმებულიყავით. ისე კი, ძალიან მინდოდა მისი ნახვა. ის კი არა, თურქეთში ბათუმის „ბასკოა" ჩამოსული და ჩვენთან ამხანაგური მატჩიც იგეგმებოდა, მაგრამ ბათუმელებმა დაიგვიანეს, სტამბოლამდე ანკარაში შეიარეს და აქ ხვალ ჩამოდიან, „ულქერი" კი იმ დროს სლოვენიაში იქნება.

**— იტალიასა და თურქეთში კი ასცდი ქართველებს, მაგრამ სლოვენიაშიც ხომ თამაშობს ჩვენებური.**

— ვლადიმერ ბოისას აუცილებლად ვნახავ. სხვა რომ არაფერი, „ოლიმპიასთან" ამხანაგური მატჩია დაგეგმილი. „ოლიმპიამდე" ნოვო მესტოს „კრკასაც" გავეჯიბრებით.

**— ბევრს მოგზაურობთ...**

— ეს რაა, სლოვენიიდან რომ დავბრუნდებით, კვლავ იტალიაში მივდივართ ოთხთა ტურნირზე, რომელშიც, მგონი, „ბენეტონიც" მიიღებს მონაწილეობას და მარკოიშვილსაც იქ ვნახავ.

**— გუნდი დაკომპლექტებულია თუ კვლავ ცვლილებებია მოსალოდნელია?**

— მგონი, აღარავინ შეგვემატება, ყოველ შემთხვევაში, უცხოელი. მომავალი სეზონიდან თურქეთის ჩემპიონატში 3-ის ნაცვლად 4 ლეგიონერის თამაშის უფლება მიეცემათ გუნდებს, „ულქერში" კი უკვე ხუთნი ვართ. მალე თურქეთის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ჰარუნ ერდენაი და ჰალუკ ილდირიმიც ჩამოვლენ და გუნდიც საბოლოო სახეს მიიღებს.

**— შერცხვენილები კი ჩამოვლენ...**

— ადრეც ვამბობდი, თურქეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერაფერს იზამს-მეთქი. შარანდელ ევროპის ჩემპიონატზე საკუთარმა კედლებმა უშველა, თორემ არ იყვნენ ფინალში გამსვლელები. მახსოვს, იმდენი ხალხი აწყდებოდა დარბაზს, ბევრი უბილეთოდ რჩებოდა, ფინალზე კი 15 ათასი კაცი სულაც ხელცარიელი დარჩა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე შენ ვის გულშემატკივრობ?**

— იუგოსლავიას, თუმც მაინც ამერიკა გაიმარჯვებს.

**— სხვათა შორის, რამდენიმე საათის წინ ამერიკელებმა არგენტინასთან წააგეს...**

— დიდი სენსაციაა, მაგრამ მაინც ამერიკა გახდება ჩემპიონი.

**— ესე იგი, ფინალშიც თუ შეხვდნენ, მასპინძლები იმარჯვებენ?**

— მე ასე მგონია, მაგრამ არგენტინაც ძალიან ძლიერი ყოფილა.

**— არგენტინელთა წამყვან კალათბურთელებს ევროლიგიდან კარგად იცნობ, ჯგუფში თქვენს მოწინააღმდეგე ესპანურ „ტაუში" ხომ ნოჩიონი, სკონოჩინი და ობერტო თამაშობდნენ. როგორც ვიცი, ჯინობილისთანაც გითამაშია...**

— ჯინობილი ძალიან მოქნილი და სწრაფი კალათბურთელია. მისი შეჩერება ურთულესი საქმეა. ეს ინდიანაპოლისშიც დაამტკიცა. დანარჩენებიც არ არიან ნაკლებნი, „ტაუსთან" ორი მატჩი სწორედ მაგათ გამო წავაგეთ. ისე, ცენტრიც ძლიერი ჰყავდათ ტაუელებს, დეიან ტომაშევიჩი კარგად თამაშობს მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ მისმა იუგოსლავიამ ჯერ ვერ იპოვა თამაში.

**— რატომ, იუგოსლავიამ ბოლო მატჩებში ხომ მოუმატა, აგერ, თურქები გაანადგურა...**

— იუგოსლავიამ რომ მოიგო, კი გამიხარდა, მაგრამ თურქებზეც დამწყდა გული, ბოლოს და ბოლოს, მეხუთე წელია, აქ ვცხოვრობ და მინდა თუ არა, მათაც ვქომაგობ.

**— მოთამაშეებიდან ვინ მოგწონს? ამერიკელებს არ ვგულისხმობ.**

— მე ჩემი ამპლუისანი მაინტერესებს. პაუ გასოლს ვაკვირდები და ვქომაგობ, ასევე იაო მინგს, თუმც ჩინელმა იმედები ვერ გაამართლა. სხვა ამპლუის მოთამაშეებიდან ყველაზე მეტად პრედრაგ სტოიაკოვიჩი მომწონს.

**ირაკლი ბერტაია**

US OPEN 2002 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 16 174 200 $

# ფრანგული კოცნა ამერიკას

## ოღონდ: ლესბოსური ჩატაბარუნებით!

**ვაჟები**

**მეოთხედფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — იუნეს ელ აინაუი (20, მაროკო) 6:1, 7:6 (8:6), 4:6, 6:2; ანდრე აგასი (6, აშშ) — მაქს მირნი (32, ბელარუსი) 6:7 (5:7), 6:3, 7:3, 6:3**

კაცთა ამქრის უსტაბაშმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცველად — ხუჭუჭა მაღრიბელმა იუნეს ელ აინაუიმ (20), ვინაც წლეულს თავის საუკეთესო სეზონს თამაშობს და ჯიშად მეთიხნარემ სამაგარსაფრო სლემტურნირზე მოულოდნელი სამეოთხედფინალო ოდისეა გაიჩალიჩა, მასთან გადავება მხოლოდ მესამე სეტში შეძლო.

„პირველი სეტი საუცხოოდ ვიჩოგნავე, მერე კი მესამე სეტში ერთი გეიმი ჩავაფლავე და საქმე კინაღამ საბულრაოდ გამიხდა — იგონებდა ნამატჩევს ჰიუიტი — რამდენსამე მომენტში ქარი ისე გაშმაგდა, ნორმალურად მოწოდებას ვერ ვახერხებდი. ხანდახან ისეთი გრძნობა მქონდა, მეთქი, გრიგალს ვერკინები".

6:1-ით მოგებული პირველი სეტი ტურნირის მეპირველემ მართლაც სანაქებოდ ჩაითამაშა და შემცბარ ბედუინს ის 25 წუთში წაჰგვარა. მაგრამ ელ აინაუი ეგრე იოლად დანებებას არ აპირებდა და, თუკი მეორე სეტი მხოლოდ ტაიბრეიკზე დათმო, მესამეში სულაც ხელის წაგლეჯვაც მოახერხა. ეს მაშინ მოხდა, როცა ჭაბუკმა ოზიმ სეტპოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა.

გადამწყვეტ სეტში ჰიუიტმა მაროკოელს ორი გეიმი გაუტეხა და სადღევანდლო ნახევარფინალის საგზური — დათმობილი სეტის მიუხედავად — შესაშური დამაჯერებლობით მიითვალა.

ნახევარფინალში კი მას ანდრე აგასისთან (6), ორგზის ჩემპიონსა და იმ დღესვე მის დარად ოთხსეტიანი ფიცხელი განდაგანის გადამტან კაცთან ჭიდილი მოუწევს.

დიადმა არმენოამერიკელმა შარშანდელი მეოთხედფინალური შეხლა კიდევ უფრო დიად ელინოამერიკელ პიტ სამპრასთან დათმო. ეს მატჩი ყველა დროის ერთ უჩინებულესად ითვლება და — ეგებ გახსოვდეთ — მისი ბედი ოთხმა ტაიბრეიკმა გადაწყვიტა.

ამჯერად ანდრეს ნაკლებ სახელიან მეტოქესთან ბრძოლა მოუხდა, თუმცა „მხეცად" თიკუნებული ბელარუსი მაქს მირნი (32), რომელიც აშშ-ის 4-გზის მაოხარ სამპრასთან ახლოს მოსახსენებელიც არ გახლავთ, მას მაინც საკმაოდ ბეჯითად გაუძალიანდა. ერთი ეგ იყო, წაგებული პირველი სეტის შემდეგ ანდრე მეტი ყურადღებით ირჯებოდა და, სადაც პრობლემა არ უნდა შეექმნა, არც შეუქმნია — მძაფრი და დაუცხრომელი ბღლარძუნის შემდეგ მომდევნო სეტებში სლავს სამი გეიმი მაინც გაუტეხა და გამარჯვებაც დასტურ მიისაკუთრა.

აგასი და მირნი ერთმანეთს პირველად ივლისში, ლოსანჯელესურ „მერსედესობენზზე" შეეყარნენ. იმ მატჩში ანდრემ 6:2, 6:4 იმარჯვა. ნამატჩევს მირნის აგასის წინაალმდეგ განსხვავებული სტრატეგიით თამაში გადაუწყვეტია და იმ დღეს მასთან „მოაწოდე-მიეძალე" სტილით დავა ურჩევია. თავადაც ხედავთ, ვერც ამ სტრატეგიამ გაჭრა. მირნი ერთი ოტროველა ბიჭი კი არის, მაგრამ ჯარასავით დაულაგი 32 წლის ჯადოქნდრეს იავარსაქმნელად — არახალი ამბავია — კაცს სიმაღლესთან ერთად ფიორა იღბალიც სჭირდება.

სხვაფრივ — ჰიუიტი და აგასი, მსოფლიოს ორი უძლიერესი მემაგარსაფრე, ერთმანეთს წლეულს უკვე მესამედ შეხვდება. უმცროსი უფროსს ჯამში 4:2 უგებს, ამასთან მათი ბოლო სამი პაექრობა ოზის გამარჯვებით დასრულდა.

წლეულს ისინი ერთმანეთს სან ხოსეს ფინალსა და ცინცინატიში შეეყარნენ. პირველი შეხვედრა ჰიუიტმა 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4) მოიგო, ხოლო მეორე 7:5, 6:3 მიითვალა.

რა მოხდება ამჯერად?

საქმეში ჩახედული ხალხი მეჩოგნეთა ამგვარ წინასამატჩო პორტრეტებს გვთავაზობს.

აგასი: შებერებული დიდოსტატი თავის მერვე სლემტიტულს ესწრაფვის. ბოლოჯერ მან 2001 წელს, ავსტრალიის ბობოლა საკორტეთში იხეირა... აშშ-ის ღია პირველობაზე ორჯერ, 1994 და 1999 წლებში უპირველია, იქაურ ნახევარფინალში ის კარიერის განმავლობაში სულ რვაჯერ მოხვედრილა... სლემტურნირებზე სულ 181 თამაშში გაჰმარჯვებია და ამ მაჩვენებლით მეოთხე ადგილზეა ჯიმი კონორსის (233), ივან ლენდლისა (222) და პიტ სამპრასის (200) შემდეგ... წლეულს სკოტსდეილში, მაიამიში, რომსა და ლოს ანჯელესში გაილაღა... ცხოვრებაში 449-ე სლემტურნირზე გამოდის და ამ თვალსაზრისით ღია პირველობათა ეპოქაში მე-10 მეჩოგნეა... ბოლოჯერ სეტისწაუგებლად სლემნახევარფინალს 1995 წელს, მელბურნში უწია, სადაც საბოლოო ჯამში გაიმარჯვა კიდეც.

ჰიუიტი: ამერიკელთა წინაალმდეგ ჰიუიტს უკვე 23 შეხვედრაა, არ წაუგია... წლეულს 52 მატჩი მოიგო და ენდი როდიკთან ერთად სეზონის ყველაზე მეტჯერ მომგები მეჩოგნეა... თუკი ტიტულის დაცვა მოახერხა, მეშვიდე კაცი გახდება, ვინაც ღია პირველობათა ერაში ასეთი რამე გამოუვიდა. წინა ექვსი — კალამო არ ათრთოლდე და — ჯონ მაკინროი, ჯიმი კონორსი, ივან ლენდლი, სტეფან ედბერგი, პიტ სამპრასი და პატრიკ რაფტერი გახლავან... წლეულს ოთხი ტიტული მოიგო — სან ხოსეში, ინდიან უელსში, ქუინსსა და უიმბლდონზე... ცინცინატის ფინალში მან არგენტინელ გილერმო კანასთან წააგო.

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (10, საფრანგეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) 4:6, 7:6 (7:5), 6:3**

როგორც ვვარაუდობდით, ისე მოხდა. ორგზის ჩემპიონსა და ტიტულდამცველ ვინუს უილიამსს ფლეშინგ მედოუზზე უკვე 18 მატჩი არ წაეგო და საკორტე ამბებში მცირედ გარკვეული ხალხი წინასწარმეტყველებდა, რომ ამას ვერც მის მე-19 ჩოგნაობაში მოვესწრებოდით.

პოდა, არც მოვსწრებივართ. აშშ-ის ღია პირველობის ორ-ორგზის პირველოსანთა მეცხრე პირადი დავა ვინუსის მერვე გამარჯვებით მომთავრდა — ნიუიორკულ სეფემაგარსაფრეთში ეს ვინუსის 37-ე მატჩი და 34-ე გამარჯვება იყო.

დიადი კრის ევერტის (1975-78) შემდეგ ვინუსს შანსი აქვს, პირველი ქალი გახდეს, ვისაც აშშ-ის ღია პირველობა ზედიზედ სამჯერ დაუწიოკებია.

1991-92 წლების ჩემპიონ სელეში კი მან მართლაც უმოწყალოდ გააბითურა — ისე, რომ ამ საქმეს ერთი საათიც არ მოანდომა...

რაც შეეხება იმ დღეს ნათამაშებ მეორე ნახევარფინალს, იქ გამორჩეული მოვლენა აღინიშნა — მეათე ნორმად განთესილმა მძლავრმა ფრანგმა ლესბოსელმა, ამელი მორესმომ ორსაათიანი და 17-წუთიანი დავიდარაბის შემდეგ ბუთქუნა ჯენი კაპრიატის აჯობა და პირველი ფრანგი ქალი შეიქნა, ვისაც კი ოდესმე აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში უთამაშია.

ეს მათი მეშვიდე შეხლა იყო და 23 წლის ფრანგმა უკვე მეოთხე გამარჯვება მიითავისა. ამ ოთხიდან სამი მათი უკანასკნელი შეხვედრები გახლდათ. სამივე ზაფხულში გაიმართა. ნიუ იორკამდე მორესმომ ჯენი ჯერ უიმბლდონის მეოთხედფინალში დაჩაგრა, მერე კი — მონრეალის ფინალში...

იმდღევანდელ მატჩში კი ყველაფერ მაშინ გადაწყდა, როცა პირველი სეტის მომგებმა ამერიკელმა მეორეში, 6:5-ზე, საკუთარი გეიმის მოგება ვერ შეძლო...

„ისე მეგონა, რომ გავიდოდი და პრობლემოდ მოვიგებდი — იმართლებოდა მერე ჯენი — აზრზე არა ვარ, რა მოხდა. ახლა მზად არ ვარ იმის ასახსნელად, თუ რამ წამაგებინა. საამისოდ ცოტა დრო მჭირდება. ერთი კი ნაღდად ვიცი — ეს ის მატჩი იყო, რომელშიც მე არ უნდა დავმარცხებულიყავი".

თავად მორესმო კი ნამატჩევს ყურებამდე პირგახეულიყო და ყასიდად იქადნებოდა, რომ თუკი ვინმეს ახლა იმის ძალა შესწევს, საჩოგნეთს ზედიზედ მესამე შავლური სლემფინალი აარიდოს, მათგან უპირველესი სწორედ იგი გახლავთ.

ვნახოთ.

მანამდე კი იმას გაუწყებთ, რომ ეს მისი მესამე სლემნახევარფინალი იქნება. წლეულს მან უიმბლდონის ბოლო ოთხეულამდეც მიაღწია, ხოლო სამი წლის წინ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალამდეც იომა, სადაც ის მაშინ ჩაუქ ფორმაში მყოფმა მარტინა ჰინგისმა მოთელა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

ჯენიფერ კაპრიატი



ამელი მორესმო





REUTERS ნიუ იორკიდან

ლეიტონ ჰიუიტმა ბევრჯერ ჩააცვენეტინა ენა იუნეს ელ აინაუის



REUTERS ნიუ იორკიდან

ანდრე აგასი


ნუგზარ მაჭარაშვილის ფოტო

მამუკა მაგრაქველიძის ფრანგულ კარიერას შეიძლება წერტილი დაესვას

# მამუკა მაგრაქველიძე შეუღნაშაულო დამნაშავეა

## ბრივი მას ხათაბალა მეგობრის ჩაშვებას სთხოვს

*ფრანგული ლიგის ელიტარულმა „ბრივმა" საქართველოს ნაკრების მორკინალ მამუკა მაგრაქველიძეს კონტრაქტის გაუქმებაზე ჩამოუგდო სიტყვა. აკრძალული პრეპარატების უკანონო ტრანსპორტირებაში ეჭვმიტანილი მაგრაქველიძის საქმე ძიებაშია და მის დასრულებამდე მორაგბეს კლუბთან ერთად ვარჯიშიც აკრძალული აქვს. კონტრაქტი დროებით ძალადაკარგულია*

როგორც ჩანს, „ბრივი" არ ელოდება გამოძიების დასრულებას და ქართველთან უამისოდ აპირებს ურთიერთობის გარკვევას. „ბრივმა" დამოუკიდებელი გამოძიება წამოიწყო და კონტრაქტის გაუქმების მუქარით მაგრქველიძეზე ზეწოლას ახდენს.

„ჩვენი ინფორმაციით, მამუკამ ხათაბალაში თავი მეგობრის გულისთვის ჩაიგდო. ეს მეგობარი „ბრივის" მორაგბეა, ოღონდ კონკრეტულად ვინ, ჯერ არ ვიცით. რახან ამ პიროვნებამ არ ინდომა ამანათის თავის მისამართზე მიღება და საფოსტო განყოფილებაში გასვლასაც მოერიდა, ესე იგი, ცნობილი მორაგბეა. ეჭვი რამდენიმე კაცზე გვაქვს. ჩვენი ვერსიით, ამ პიროვნებამ მამუკას სთხოვა, ამანათს შენს მისამართზე გამოვაგზავნინებო, მაგრაქველიძეც დათანხმდა. ეს არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ რაღგან გააკეთა, ახლა გვითხრას, ვინ იყო დოპინგიანი ამანათის ადრესატი. თუ არ გვეტყვის, კონტრაქტს გავუუქმებთ" — განაცხადა „ბრივის" წარმომადგენელმა.

მაგრაქველიძე ჯერჯერობით ისევ დუმს. ბრივული ვერსია კი პროკურატურამ აიტაცა და კლუბის ყველა მორაგბეს დოპინგ-ტესტზე შეამოწმებს. სავარაუდოა, რომ „ქირვანად" წოდებული მაგრაქველიძე არ დაასმეზღებს იდუმალ „მეგობარს" და „ბრივს" დაშორდება. ამით კი თავის ფრანგული კარიერას ალბათ წერტილს დაუსვამს, რაკი გამართლების შემთხვევაშიც ძალიან საეჭვოა, რომელიმე ფრანგული კლუბი ხელგაშლილი შეხვდეს დოპინგ-სკანდალში გარეულ უცხოტომელს.

მაგრაქველიძის პირველი ფრანგული გუნდი ქვემოლიგელი „სენ ქერონი" იყო. მერე პროფესიულ „ოშში" გადავიდა საიდანაც ელიტარულ „ბრივში" ამოყო თავი, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, შესაძლოა, ბრივული კარიერაში ერთი მატჩიც ვერ ჩაიწეროს.

**ბაჩო სვანიძე**

# გამაგიჟეს კაცო!

## ფრანგი ჟურნალისტები ლევან ცაბაძეს ფორმის შენარჩუნებაში ეხმარებიან. აბრაზებენ ხოლმე

*როგორც სხვა სარაგბო ევროპულ ქვეყნებში, ამ ოთხშაბათს საფრანგეთშიც დაიწყო ჩემპიონატი. ფრანგული ელიტარული ლიგა ტოპ-16-ში ორი „ქართული" გუნდია და ორივემ ითამაშა. მევლუდ მთიულიშვილის, ვანო ნადირაძის, გოდერძი შველიძის და ტარიელ რატიანიძის „ბეზიემ" სტუმრად 20:32 წააგო ლიგის დებიუტანტ „მონდე მარსანთან". მთიულიშვილის გარდა ჩვენებურთაგან ყველა ძირითად შემადგენლობაში იყო. მევლუდს არ უთამაშია. სამაგიეროდ, ლევან ცაბაძისა და დავით აშვეთიას „მონფერანმა" იყოჩაღა და შინ „ბურგუენს" 22:11 მოუგო. „ლეონსიომ" თავიდანვე დაიწყო მატჩი და ბოლოსკენ შეცვალეს, აშვეთიამ კი მეორე ტაიმი ითამაშა სრულად. მთავარი ისაა, რომ მონფერანელმა ქართველებმა ახალ კლუბში თავიანთი დებიუტი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრით აღნიშნეს*


ბაჩო ძიძიშვილის ფოტო

ლევან ცაბაძეს, როგორც ყოველთვის, თავი არც „მონფერანში" დაზოგა და დაუფიქსდა კიდეც

— „მონფერანში" დებიუტი მართლაც კარგი გამოგვივიდა. მეც და აშვეთიამაც მწვრთნელების მადლობა დავიმსახურეთ. თავს არ ვიქებთ, მაგრამ ტურის სიმბოლურ ნაკრებში „მონფერანიდან" ოთხი კაცი მოვხვდით: მე, აშვეთია, საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი ჟერალ მერსერონი და კიდევ ერთი ჩვენი თანაკლუბელი — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი გახარებულმა **ლევან ცაბაძემ**, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

**— მწვრთნელებო, თქვი, რამდენი გყავთ?**

— სამი. ოღონდ მთავარი არც ერთია. სამივე თანაბრად ინაწილებს ფუნქციებს. მე და დათოს მორკინალთა მწვრთნელ ლორან ტრავერისთან გვაქვს საქმე. მატჩის შემდეგ ტრავერიმ ბევრი გვაქო.

**— იოლი მატჩი იყო?**

— არა, რას ამბობ. ბოლოსლა შევძელით მეტოქის გატეხვა. ასეთი ტემპი ჯერ არ მინახავს. მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე შემცვალეს. მწვრთნელებს რომ არ შევეცვალე, თავად მოვითხოვდი. თავბრუ მეხვეოდა და ძალა აღარ მქონდა.

**— სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადე?**

— როგორ არა, მაგრამ ხომ გითხარი, ასეთი ტემპი ჯერ არ მინახავსმეთქი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ აქ აღმოვჩნდი. არადა, ექვსი წელია, საფრანგეთში ვარ, მაგრამ ასეთი მატჩი ჯერ არ მითამაშია. ძალიან დაძაბული ბრძოლა იყო. მსაჯმა ათი წუთი დაამატა. შეხვედრა რომ დასრულდა, სტუმარ-მასპინძლიანად ყველა მოედანზე დაეყარა.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— მეტიც შემეძლო, ისე კი, მართლაც კარგად ვითამაშე. თავი არ დამიზოგავს. გიჟივით ვიყავი, ძალიან ბევრი მქონდა დასამტკიცებელი.

**— ვისთან, მწვრთნელებთან?**

— არა, პრესასთან. მატჩამდე აქაურმა გაზეთებმა ნაადრევად ჩამომწერეს.

**— მაინც რა დაწერეს ამისთანა?**

— ლევან ცაბაძე დაბერდა და „მონფერანმა" მისი შემატებით შეცდომა დაუშვაო. მაგრაქველიძის ამბის შემდეგ აქაური ჟურნალისტები ცდილობენ, ქართველებს კბილი გაგვკრან. ათას სისულელეებს წერენ.

**— ნამატჩევს როგორ შეაფასეს შენი თამაში?**

— მეც და აშვეთიასაც რვიანი დაგვიწერეს. მაქსიმალური შეფასება ათიანია. ასე რომ, ამით ყველაფერია ნათქვამი. მაქსიმალური შეფასება მარტო მერსერონმა დაიმსახურა.

**— მომდევნო ტურს, ალბათ, გამოტოვებ. სანაკრებო შეკრებაზე გამოგიძახეს.**

— არა, მომდევნო ტურშიც ვითამაშებ და ნაკრებს 22 სექტემბერს შევუერთდები. ახლა ისინი იკრიბებიან, ვინც უკლუბოდაა და საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს. მათ ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილი ჩაიბარებს და განსაკუთრებული პროგრამით ავარჯიშებს. ძირითადი ბირთვი მერე დავემატებით.

**ბაჩო სვანიძე**

## ჭიდაობა

### მსოფლიოს ჩემპიონატი. თავისუფალი სტილი
### თეირანი (ირანი) 5 - 7 სექტემბერი

# ქართველებმა სპარსულ ხალიჩაზე მარჯვენა ფეხით შეაბიჯეს

**გუშინ** თეირანში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 36-ე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრის პირველ დღეს სამმა ქართველმა იჭიდავა და სამივემ მოიგო.

სპარსული ხალიჩა და მეტოქეთა ძალა პირველებმა ბესარიონ გოჩაშვილმა (55კგ), ოთარ თუშიშვილმა (66კგ) და რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) მოსინჯეს.

ჯერჯერობით ამათგან ყველაზე შორს ოთარ თუშიშვილი წავიდა. მან ზედიზედ ორი ბრძოლა მოიგო და დღეს მერვედფინალში იჭიდავებს.

თუშიშვილის პირველი მეტოქე ფინელი იუნი სამული როსენლოფი იყო. ქართველმა 4:0 დაჯაბნა სკანდინაველი ფალავანი და ამავე ანგარიშითვე გაუსწორდა მეორე მოწინააღმდეგეს, რუმინელ ლასლო საბოლჩის.

არც ევროპის ბრინჯაოსმედალოსან რევაზ მინდორაშვილს გასჭირვებია პირველი წრის გავლა. გურჯაანელმა უკრაინელ ელდარ ასანოვს 3:1 მოუგო და დღეს კანადელ ნიკოლას უგოალას დაეჭიდება.

ბესარიონ გოჩაშვილს პირველ მეტოქედ ჩინელი ჰაიბო მენგი შეხვდა. 3:1 გოჩაშვილის სასარგებლოდ და მისი მომდევნო მეტოქე უკრაინელი ალექსანდრ ზახარიუკი იქნება.

დღეს შეჯიბრში ჩაებმებიან დავით პოლოსიანი (60კგ), მერაბ მჭედლიძე (74კგ), ელდარ კურტანიძე (96კგ) და დავით ოთიაშვილი (120კგ).

**ბაჩო სვანიძე**

## ხელბურთი

# ხელბურთელებმა თქვან, ევროპა ჩვენი სახლიაო

**ხვალ** სახელბურთო ევროპა მორიგ სეზონს გახსნის — საკონტინენტო თასების შესარჩევი ეტაპის შეხვედრები გაიმართება.

საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" მეტოქე სლოვაკეთის საუკეთესო გუნდი, პროვინციული „პოვაჟსკა ბისტრიცაა". მოწინააღმდეგეებს ჯერ ბისტრიცაში უნდა ეთამაშათ, ერთი კვირის შემდეგ კი თბილისში, მაგრამ ჩვენი ტრადიციული უბედურების, უფულობის მიზეზით, რაკი სტუმართა დასახვედრად საჭირო ხუთი-ექვსი ათასი დოლარის შოვნა უძნელესი ამბავია, ორივე მატჩი სლოვაკთა მოედანზე შედგება. ამით ქართველთა წარმატების ისედაც მინიმალური შანსი, ცხადია, ნულამდე დაეცა. ის კი არა, ტექნიკოსებმა თუნდაც ერთკვირიანი შეკრებაც ვერ გააზერხეს და მათი საევროპო სამზადისი თანაქალაქელ „საუ-მამულთან" ერთადერთი ამხანაგური თამაშით შემოიფარგლა.

ამავე მიზეზით ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ორივე მატჩს 8 და 9 სექტემბერს სტუმრად გამართავს საქართველოს ვიცეჩემპიონი „თბილისი", რომელსაც მეტოქედ უკრაინის მეორე გუნდი — ოდესის „პორტოვიკ იუჟნი" ჰყავს.

ევროსარბიელზე ჩვენი დანარჩენი სამი წარმომადგენელი შეჯიბრებაში მოგვიანებით, 5 და 12 ოქტომბერს ჩაებმება. ეროვნული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „გლდანი" თასების მფლობელთა თასზე ლუქსემბურგის „ბაშარაგს" შეხვდება, „ჩელენჯ კაპზე" საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულს" ასევე ლუქსემბურგულ „დიკირჩთან" მოუწევს გაჯიბრება, ხოლო „ცერო-ბათუმი" შვეიცარიაში „სურ-ჰანდბალს" ესტუმრება.

**გია ახალაძე**

# ორი ჩირაღდანი


REUTERS

სწორედ რომ ნამდვილ ოლიმპიურად, ოღონდ აზიურ ყაიდაზე აანთეს მე-14 აზიური თამაშების ჩირაღდანი კორეელებმა. ჰალას მთაზე მზის შუქი გადმოიღვარა ჩირაღდანზე, რომელიც ახლა პუსანისკენ დაიძვრება. თავის მხრივ, თამაშების მასპინძელ სამხრეთ კორეას მხარი აუბა კომუნისტურმა ჩრდილო კორეამაც, სადაც ბაეკდუს მთაზე ააბრიალეს ჩირაღდანი. თამაშების ცეცხლს ამ ორი ჩირაღდნით ერთდროულად აანთებენ, რაც ორი კორეის ერთობაზე მიგვანიშნებს.

# ფლეშინგური სურათები

აღარც წვიმს და აღარც არაფერი. ამერიკის ღია პირველობა გვარიან სიცხეში გაგრძელდა და ჩოგბურთის მაგან გულშემატკივარს ადრიდანვე დაუჭერია თადარიგი, ჯერ შერუჯგათ და მერე თამაშის ცქერათ. სერენა უილიამსი კი ვარჯიშობს. ნახევარფინალშია და არც არავის გაუკვირდება, რომ დიდი სლემის კიდევ ერთი უილიამსური ფინალი ვიხილოთ, ყოველ შემთხვევაში, ჩაფიქრებული მამა რიჩარდი სულაც არ არის წინააღმდეგი და მეტიც, ამას თუ ფიქრობს. ამასობაში კი დაღვრემილა სტეფანო კაპრიატი, მის ცოლს კი მოწყენილობას შავი სათვალე თუ უფარავს. მათი ქალიშვილი, მართლა მაგარი ჯენიფერი ფრანგმა ამელი მორესმომ დაითხოვა მეოთხედფინალიდან. კაპრიატების გვერდით კი მსახიობი მეტიუ პერი ზის.


REUTERS


REUTERS


REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge